საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი. 2021 წ. №188 (9307) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყვილებით და ჭიჩებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკიდრისობაზე უსაძაგლესია.

ველარც წყალი გვინახავს და... ველარც ჩაი!!!

აი, რატომ ④ ვართ ⑥ ღარიბები!

თვითონ ბორჯომია სამკურნალო...





დღეს, 14 ოქტომბერს, დიდი ქართული დღესასწაულია — სვეტიცხოველობა!

ყველა კეთილმორწმუნე ქართველი სვეტიცხოველში დაანთებს სანთელს და ყოველგვარ ცოდვას მოინანიებს! ყველანი მცხეთისკენ, სადაც მზისა და ვაზის, ერთობისა და სიყვარულის მირონი დუღს! რა დროს პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცების უაზრო მიტინგი და აქციებია!

მერაბ კოსტავას ცხოვრება სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითია!

მერაბ კოსტავას ცხოვრება ყველა თაობისთვის დარჩება ზნეობრივ ორიენტირად, სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის მისაბაძ მაგალითად, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ მერაბ კოსტავას სახელთან ასოცირდება ეროვნული მოძრაობა, საქართველოს თავისუფლების დიდი იდეა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. გუშინ საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან 32 წელი შესრულდა.



ერზე მჭმუნვარი ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!

ზვიად გამსახურდია

მაზოხისტები

გიორგი გამსახურდია:

როდესაც გახარია გადადგა, ერთმა ჩემმა ახლობელმა მითხრა: გიორგი, წამოსვლა მინდა ნაციონალებისგან, ესენი ავად არიან, ღამე ისხდნენ და დასაჭერების სია წერდნენო!..

5

რა დაავადებები დაამარცხა კაცობრიობამ ვაქცინის მეშვეობით?

7

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი საქართველოშია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებსა და სამღვდელოებასთან ერთად გუშინ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, პელას მთავარეპისკოპოსი ფილომენი და იერუსალიმის წმინდა იოაკიმესა და ანას ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მელეტიოსი მიიღო. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია.

ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა მის უწმინდესობას იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე III-ის მოკითხვა და საჩუქარი გადასცა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჯვრის მონასტერში არსებულ სიტუაციასა და ისრაელში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს. მეუფე ფილომენმა აღნიშნა, რომ ქართველები ხშირად დადიან ჯვრის მონასტერში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ღვთისმსახურებაში და თვითონაც ცდილობს მათ თავი ისე აგრძნობინოს, როგორც საქართველოში. მთავარეპისკოპოსმა ფილომენმა მის უწმინდესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და მადლიერებით აღნიშნა, რომ იგი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გააკეთებს წმინდა მიწაზე ქართველების დასახმარებლად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა სტუმრებს, დალოცა ისინი და სვეტიცხოვლობის სადღესასწაულო წირვაზე მიიწვია.

თეა წულუკიანი: სისტემა არის მოწოდების სიმაღლეზე

მინდა ყველა დავარწმუნო, რომ დღეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში პენიტენციურ სამსახურში არ არსებობს არავითარი პრობლემა, რომ პატიმრის სამედიცინო პირობები სათანადოდ არ იყოს დაცული, თანამედროვე სტანდარტის დაცვით, მათ შორის როდესაც პატიმარი გადაწყვეტს იშიმშილოს, რაც მისი უფლებაა. ასე რომ, მოვუწოდებ, ყველას ჩახედოს სტატისტიკას, რამდენად დაბალია სიკვდილიანობა ქართულ ციხეებში და რამდენად მაღალია თუნდაც სამოქალაქო სექტორის კლინიკებში პატიმრების გადაყვანა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განუცხადა. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თქმით, სისტემა ეფექტიანად მუშაობს და ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე არ არსებობს.

„მე მესმის იმ ადამიანების, ვინც ვიზუალურად რომ ვერ ხედავს პატიმარს, ფიქრობს ცუდზე, მაგრამ სასამართლო სხდომებიც იქნება. ნებისმიერ დეპუტატს აქვს შესვლის უფლება, სახალხო დამცველს აქვს შესვლის უფლება და თუკი ნებისმიერი სხვა მექანიზმი გამოიძებნება, რომ ამ ადამიანთან იყოს მეტი ვიზუალური კონტაქტი, რა თქმა უნდა, ის თითიდან გამოწოვილი ეჭვებიც განეიტრალდება და ჩვენ ყველა დავინახავთ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების არავითარი რეალური რისკი სააკაშვილის შემთხვევაში არ არსებობს...

ლევან იოსელიანი: სააკაშვილს პოლიტპატიმრად არ ვთვლი

ლევან იოსელიანი — მიკვირს პარტიების, ვინც სააკაშვილს პოლიტპატიმრად განიხილავს და მის მხარდასაჭერ აქციაზე მისვლა არ უნდათ, პოლიტპატიმრად რომ ვთვლიდე, აქციაზე ვიდგებოდი. ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქციაზე არ მივდივართ, რადგან ეს არის სხვა პარტიის აქცია, რომელიც მიმართულია მათი ლიდერის მხარდასაჭერად, — ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა განაცხადა. მისივე თქმით, უკვირს იმ პარტიების, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრად განიხილავენ და ამავე დროს მის მხარდასაჭერ აქციაზე მისვლა არ უნდათ.

„თქვენ იცით, რომ მთელ რიგ საქმეებზე მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრად არ განვიხილავთ. იმ პარტიების მიკვირს, რომლებიც ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრად განიხილავს და მეორე მხრივ, მის მხარდასაჭერ აქციაზე მისვლა არ უნდათ. ჩემთვის ეს გაუგებარია. მიგვაჩნია, რომ პოლიტპატიმარი არ არის კონკრეტულ საქმეებზე. შესაბამისად, მის მხარდასაჭერ აქციაზე არ წავალთ. თუ ადამიანს პოლიტპატიმრად თვლი, ეს ნიშნავს, რომ ის უსამართლოდ იდევნება, თუ უსამართლოდ იდევნება, მაშინ აქციაზე რატომ არ მიდიხარ და მხარს რატომ არ უჭერ? რომ ვთვლიდე, პოლიტპატიმარია, იმ აქციაზე ვიდგებოდი“...

გიული ალასანია: მიმაჩნია, რომ როგორც პრეზიდენტს, მიშას შეცდომა არ დაუშვია!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას განცხადებით, უნდა ჩატარდეს სასამართლო და გაირკვეს, რა ჩაიდინა სააკაშვილმა ისეთი, რომ ციხეში უნდა იჯდეს.

„უნდა ჩატარდეს სასამართლო, ხომ უნდა გაირკვეს ბოლოს და ბოლოს, რატომ ზის ეს ადამიანი, რა არის მისი დანაშაული ამ ქვეყანაში, რა ჩაიდინა ისეთი, რომ უნდა იჯდეს“, — აღნიშნა გიული ალასანიამ.

მისივე თქმით, შიმშილობა მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებაა და შეძახილებით არ შეწყვეტს. ამასთან, გიული ალასანია მიიჩნევს, რომ სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტს, შეცდომა არ დაუშვია.

„ბევრი ლაპარაკობს, მიუხედავად მძიმე შეცდომებისა და ამდენი შეცდომისა... მე პირადად, მიმაჩნია, რომ ჩემს შვილს, როგორც პრეზიდენტს, შეცდომა არ დაუშვია, ამაში დარწმუნებული ვარ. საკმარისად მაქვს განათლება მიღებული, ვიცი, ანალიზის უნარიც მაქვს, ეს იყო თავდადება, უზომო შრომა. არ ვიცი, რა შეცდომებზეა ლაპარაკი. ვიღაცამ თუ უკანონოდ სამსახური დაკარგა, ან რაღაც, შეიძლება, უფრო ქვედა დონეზე რაღაცა ხდებოდა, არა მგონია, ჩემი შვილის მითითებით ყოფილიყო, ჩემს შვილს ყველაფერი კარგი უნდოდა ამ ქვეყნისთვის“...

გიგა ბოკერია: ჩარკვიანებმა და ვილაცებმა შექმნეს ცრუ მოლოდინი, რომ ხვალ უნდა გათავისუფლდეს სააკაშვილი!..

აქცია-ღონისძიება თუ არის კონკრეტული ლიდერის პოლიტიკური მხარდაჭერისთვის, რომ ის არის მხსნელი, ეს შეცდომაა ყველა თვალსაზრისით — **ტაქტიკურად და სტრატეგიულად,** — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიგა ბოკერიამ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 14 ოქტომბრისთვის დაგეგმილ აქციაზე საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, მას ასეთი მიდგომა არასწორად მიაჩნია, რის გამოც არ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაზეც ფიქრობს, რომ შესრულებადი არ არის.

„თაკო ჩარკვიანს არაფერს ვუპასუხებ, პოლიტიკური დევნა უზარმაზარი პრობლემაა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის და სააკაშვილის, ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკური მოტივებით დაკავება, მისი პატიმრობა არ არის სააკაშვილის პრობლემა, არის მთელი ქვეყნის მომავლის პრობლემა. ის უნდა იყოს თავისუფალი და პოლიტიკური დევნა მთლიანად უნდა შეწყდეს, მაგრამ ხვალინდელ აქციასთან დაკავშირებით იმ ფიგურებმა, ჩარკვიანებმა და ვილაცებმა, ასევე სააკაშვილის მხარდამჭერების ნაწილმა სამწუხაროდ, შექმნეს მოლოდინი, რომ ხვალ უნდა გადაწყდეს ეს ყველაფერი, მოხდეს სააკაშვილის გათავისუფლება და სააკაშვილის გათავისუფლების გარეშე მეორე ტურებს აზრი არ აქვს. ზოგადი მიდგომაა, რომ სააკაშვილის გათავისუფლებაში არის გასაღები ივანიშვილის რეჟიმის დამარცხების. ეს მე არასწორ მოლოდინად მიმაჩნია, არარეალურად და ამიტომ არ ავიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც არ მგონია, რომ შესრულებადია და სწორი მიდგომაა“.

თაკო ჩარკვიანი: ბოკერია მაინც სულ სხვაა, ღალატის ხარისხში...

„კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი სოციალურ ქსელში 14 ოქტომბერს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით პოსტს აქვეყნებს.

ვუსმენდი და ვფიქრობ: **აი, ბოკერია მაინც სულ სხვაა... ღალატის ხარისხში, პირველობას მაინც არ თმობს?! ნუ, რაღაცაში ხომ უნდა იყოს პირველი! პოლიტიკოსებო, „კეთილშობილებო“, ეს აქცია 14-ში, პრეზიდენტის არჩევნების კი არა, მოშიმშილე დაჭერილი კაცის — მესამე პრეზიდენტის სოლიდარობისთვის აქციაა! რა უბედურება გჭირთ, რა?!“** — წერს თაკო ჩარკვიანი.

ბრალდებათა კასკადი

რა პიჯაკები!.. მილიონობით ლარია მოპარული

აუდიტის დასკვნის თანახმად დგინდება, რომ ყოფილ პრეზიდენტს ძალოვანი უწყებები მხოლოდ პიჯაკების ყიდვას არ ედავებიან.

აუდიტის დასკვნის თანახმად, **მიხეილ სააკაშვილი, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, სხვადასხვა ქვეყნის სასტუმროებში ათი ათასობით ლარს ხარჯავდა. საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით, სააკაშვილს ძვირადღირებულ ვოიაჟებში ხშირად თან ახლდნენ საკუთარი თანაგუნდელები და მასთან დაახლოებული პირები.**

მიხეილ სააკაშვილის მიმართ ჯერ კიდევ არსებითი განხილვის ეტაპზეა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარზე მეტის არამიზნობრივ ხარჯვას ეხება. ამ საქმის მთავარი მტკიცებულება აუდიტის დასკვნაა, რომელიც სხვა ხარჯებთან ერთად ყოფილი პრეზიდენტის უცხოურ ვოიაჟებს ასახავს. ექსპრეზიდენტი 2009 წლის 8-10 იანვარს ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც დელეგაციის წევრებად ახლდნენ დავით ბაქრაძე, თემურ იაკობაშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, თემურ ჯანაშია, გიგა ბოკერია, რაფაელ გლუქსმანი, ნიკა ყიფშიძე და ალანა გაგლოევა.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ვიზიტი მხოლოდ 8-10 იანვარს იყო განსაზღვრული, პრეზიდენტი 4-5 იანვარს გერმანიას, 6 იანვარს ავსტრიას, 7-დან 10 იანვრამდე, ისევ გერმანიას და 11-13 იანვარს ბათუმს სტუმრობდა. ანუ, პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, ოფიციალური სამუშაო ვიზიტი, განსაზღვრულია მხოლოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (8-10 იანვარი), ხოლო დანარჩენ თარიღებში სააკაშვილის მიერ განხორციელებულ ვიზიტებზე (4-5 იანვარს გერმანიაში და 6 იანვარს ავსტრიაში) სამართლებრივი დასაბუთება არ არსებობს, შესაბამისად, აუდიტი მიიჩნევს, რომ თანხები არამიზნობრივად გაიხარჯა.

ამავე დასკვნაში ვკითხულობთ, რომ 2010 წლის 3 იანვრიდან 12 იანვრამდე - ავსტრიის ქალაქ ჰინტერგლემის სასტუმრო „MARTEN“-ში ანაზღაურებულია პრეზიდენტის მეუღლის, მისი სიმამრის და შვილების განთავსების ხარჯები. გარდა ამისა, 3 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით ავსტრიული სატრანსპორტო კომპანიის მიერ 3 სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების მიმღებად და 8-12 იანვარს 2 სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების მიმღებად დაფიქსირებულია საქართველოს საელჩო, ხოლო აღნიშნული მომსახურების ღირებულება 47,315 ლარი (19,405 ევრო) ანაზღაურებულია დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ. სულ ამ პერიოდში აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ბიუჯეტიდან ანაზღაურებულმა ხარჯმა 117 ათას ლარს გადააჭარბა.

ბრალდების მოწმეს ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე იარაღი არ დაუნახავს!

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის და ყოფილი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის ბრალდების საქმეზე საქალაქო სასამართლოში სხდომა გაიმართა, სადაც საქმის ერთ-ერთი მოწმე შოთა ჯაფარიძე დაიკითხა.

შოთა ჯაფარიძე იმ პერიოდში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში პატრულიინსპექტორად მუშაობდა. ბუტა რობაქიძის საქმეზე დაკითხული მოწმის, ჩვენების მიხედვით, მის მიერ მანქანის შემოწმებისას, იარაღი ავტომობილში არ ყოფილა.

ირაკლი ზარქუა: მწვალებელთა პარტიის დროს იყო პატიმრების წამება და მოკვდინება!

მიხეილ სააკაშვილის უფლებები დაცულია, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ზარქუამ განაცხადა.

„რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ კალორიულ კვებაზეა გადასული — თაფლი, ხილი და ა.შ. საქართველოში ისეთი პენიტენციური სისტემაა, სადაც თითოეული მსჯავრდებულის უფლება არის დაცული. ეს არ არის 2012 წლამდე არსებული ციხე, სადაც წვალება, წამება, უბედურება ხდებოდა, კასტილიანი კაცით იყო დასჯა. ახლა ციხე თითოეულ პატიმარზე ზრუნავს. აბუჩად აგდება არის, როცა მწვალებელთა პარტიის დროს იყო პატიმრების წვალება, წამება, მოკვდინება. როცა ამასთან შედარებით, ახლა კალორიულობაზე ვსაუბრობთ, სწორედ ეს არის აბუჩად აგდება. მიხეილ სააკაშვილის უფლებებზე რომ საუბრობენ, მისი უფლებები დაცულია. მასთან ადვოკატები მიდიან და გაგიგიათ, მისი უფლება რომ დარღვეულია? ამბობენ, რატომ არ აქვს ტელევიზორიო. ტელევიზორი კი არა, ხალხს აწამებდნენ და რაზე ვსაუბრობთ? მათი მცდელობაა, პროცესის დრამატიზება მოახდინონ“... — განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა

თბილისობის თანხის დიდი ნაწილი – ბათუმში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს!

თბილისის მერმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის“ სპეციტექნიკის შესაძენად გამოცხადებული სატენდერო პროცედურები დასრულებულია.

„დაწყებულია მყარი ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ამაში გვეხმარება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რისთვისაც მინდა, მათ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო. 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. საუბარია სესხზე, რომლის მეშვეობითაც, შევძლებთ პროექტის განხორციელებას. ამ პროექტის ფარგლებში, გადაწყვეტილია ნაგავმზიდი მანქანების შეძენა. გამოცხადებული გვქონდა ტენდერი, გვყავს გამარჯვებული კომპანიები, რომლებიც შესაბამის ტექნიკას მოგვაწვდიან“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ხელშეკრულების თანახმად, სპეციტექნიკა დედაქალაქს რვა-ათი თვის განმავლობაში გადმოეცემა.

„პროექტისთვის გამოყოფილი იყო 15 მლნ ევრო. სესხის ძირითადი კომპონენტი სპეციტექნიკის, მათ შორის, 67 ერთეული ნაგავმზიდისა და შვიდი ერთეული ქუჩის მექანიკური დამგველის, ე.წ. სვიპერის შეძენაა, რომელთა ღირებულება, ჯამში, 9 მილიონი ევროა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტექნიკის არსებობა ქალაქში დასუფთავების თვალსაზრისით და ასევე, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით, ყოველდღიურად მუშაობენ. გადაწყვეტილებას, რომელიც მივიღეთ, გარკვეული დრო დასჭირდა. იცით, რომ ტენდერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ატარებს, რომელსაც თავისი წესები აქვს. დღეს უკვე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ კომპანიებთან ხელშეკრულება გაფორმებულია და 8-10 თვის განმავლობაში, ტექნიკა უნდა მოგვაწოდონ“.

ასევე, იგეგმება დამატებით, 65 ერთეული ტექნიკის შესყიდვა, რომელთა შორის, ნარჩენების შემგროვებელი 44 ერთეული მანქანა იქნება.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე თბილისის მერმა რეკრეაციული სივრცეების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. თბილისის მერია ვერის ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით განახორციელებს.

„ჩვენთვის რეკრეაციული სივრცეების არსებობა ქალაქში პრინციპულად მნიშვნელოვანია და მოქალაქეები ხედავენ, თუ რამდენი ახალი სკვერი, რამდენი რეაბილიტირებული, განახლებული პარკი გაჩნდა ქალაქში ბოლო წლების განმავლობაში. ეს მნიშვნელოვანია ჩვენი ჯანმრთელობისთვის, მომავალი თაობებისთვის. დედაქალაქს ამ მიმართულებით აქვს დიდი პოტენციალი, რესურსი და ჩვენც განვაგრძობთ მუშაობას. მინდა, მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ აზიის განვითარების ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით, მივიღეთ გადაწყვეტილება ვერის ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ვერის ბაღის თანამონაწილეობითი დაგეგმარება იქნება საუკეთესო პრეცედენტი სხვა მწვანე სივრცეების სწორი განვითარებისთვის, მოქალაქეთა ინტეგრაციისა და ჩართულობის გაძლიერების ხელშეწყობისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი პროექტია, რომლის განხორციელებაში მონაწილეობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, საპროექტო სამუშაოების ღირებულება 700 000 ლარს შეადგენს და ის ერთი წლის ვადაში დასრულდება. გარდა ამისა, თბილისის მერმა განაცხადა, რომ **„საბურთალოს გამგეობამ, ყველასთვის ცნობილი და საბურთალოელებისთვის საყვარელი ადგილის – ბუკიას ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 2 500 კვ.მ ფართობზე ჩატარდა. ტერიტორიაზე მოეწყო შადრევანი ახალი დიზაინით, LED განათების სისტემა, განახლდა საჭადრაკო სივრცე და განთავსდა საპარკე სკამები. გარდა ამისა, გრანიტისა და ტრავერტინის ფილებით მოპირკეთდა და მოეწყო სივრცე, სადაც ყვავილებს ჰყიდდნენ. როგორც ყველა სკვერში, აქაც განხორციელდა გამწვანების სამუშაოები – დაირგო სხვადასხვა სახის ხე-მცენარე. მათ შორის, 200-წლოვანი ზეთისხილის ხე“.**

მისივე თქმით, თბილისის მასშტაბით, რეკრეაციული სივრცეების, პარკებისა და სკვერების მოწყობა-განახლების სამუშაოები მომდევნო ოთხ წელშიც აქტიურად გაგრძელდება.

„მიხარია, რომ გამგეობებიც ამ მიმართულებით საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებენ. რა თქმა უნდა, ეს მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდება. მეტი მწვანე სივრცე შეიქმნება იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი იყოს ყველაზე მწვანე, ეკოლოგიური მდგომარეობა კიდევ უფრო გამოსწორდეს, ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა კიდევ უფრო სუფთა ჰაერი ისუნთქონ. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე. რეკრეაციული სივრცეები, პარკები, სკვერები იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რასაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უდიდეს ყურადღებას დავუთმობთ“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ ყურადღება ლილოს დასახლებაში არსებული ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაზეც გაამახვილა. ბიბლიოთეკა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის.

„სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია დავასრულეთ. ბიბლიოთეკა განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. ეს იყო უკვე მოძველებული სივრცე, ამიტომ, მასში სრულად შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემები, მოეწყო გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემა, ხოლო ძველი კაბინეტური ტიპის ოთახების ხარჯზე მოეწყო თანამედროვე, ღია სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, სააბონენტო განყოფილება, მცირე სადისკუსიო დარბაზი, სადაც ასევე, განთავსებულია საბავშვო ლიტერატურის კუთხე და საბავშვო მულტიმედიური სივრცე. ფილიალში ასევე, მოეწყო მცირე ზომის კაფე მკითხველებისთვის“.

თბილისის მერის თქმით, ბიბლიოთეკების რეაბილიტაციის გეგმის თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი ბიბლიოთეკა განახლდა, შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში კი კიდევ რვა ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის „თბილისობის“ მუსიკალური წარმოდგენა 8 ოქტომბერს ბათუმში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო აღარ გაიმართება, თუმცა, თბილისის მერია საპატიო თბილისელებს წელსაც დააჯილდოებს.

„მოგეხსენებათ, რომ პანდემიის გამო, „თბილისობა“ სატელევიზიო ფორმატში, მუსიკალური წარმოდგენით და საპატიო თბილისელის დაჯილდოებით აღინიშნებოდა, 200-ზე მეტი მუსიკოსისა და სოლო შემსრულებლის, ორი ორკესტრის, ბენდების, ანსამბლების, ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის 100-მდე წევრის მონაწილეობით. ბათუმის ტრაგედიის შემდეგ, უარი ვთქვით „თბილისობის“ მუსიკალურ ნაწილზე და პროექტისთვის გამოყოფილი თანხა დაღუპულთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდში გადაირიცხება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, 23-24 ოქტომბერს, თბილისში საშემოდგომო ნობათის გარევაჭრობა გაიმართება.

„23-24 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს საშემოდგომო ნობათს, სოფლის მეურნეობის პროდუქციას საქართველოს ყველა კუთხიდან. ამისთვის გამოიყოფა სპეციალური ადგილები დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში. აღნიშნულ დღეებში გარევაჭრობა ნებადართული იქნება ჩუღურეთში, მეტროსადგურ მარჯანიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე; სამგორში – ვიქტორ კუპრაძის ქუჩის №10, ე.წ. სვანების ბაზრის ტერიტორია; გლდანში, ნოზაძის ქუჩაზე; დიდუბეში – სტანისლავსკის ქუჩაზე, („დიდუბე პლაზას“ მიმდებარე ტერიტორია); დიღმის მასივში – პაიჭაძის ქუჩა №1-ში (სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე); საბურთალოზე – სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე; ვაკეში – გეგეშიძის ბაღში“, – დასძინა კახა კალაძემ.

<u>გიორგი ფანგანი:</u> „ჭკვიანი მრიცხველებით“ ხარჯების დაზოგვაა შესაძლებელი

რეგულაციის მიხედვით, ახალი კორპუსები, რომლებიც 2021 წლის 1 ოქტომბრიდან შევა ექსპლუატაციაში, ელექტროენერგიის აღმრიცხველი „ჭკვიანი მრიცხველებით“ აღიჭურვება.

როგორ შეგვიძლია ჩვენი ბიუჯეტის დაზოგვა და რა არის ჭკვიანი მრიცხველი, ამ საკითხზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წევრმა გიორგი ფანგანმა განაცხადა.

„ეს ისეთივე მრიცხველია, როგორც ნებისმიერი სხვა და მისი ძირითადი ფუნქციაა ელექტროენერგიის აღრიცხვა. ამის იქით მრიცხველს აქვს ბევრი ოფცია. მათ შორის მრიცხველს მონაცემების გადაცემა დისტანციურად შეუძლია. საუბარია იმ მონაცემებზე, რომელსაც ის კითხულობს „ტვინინგის ცენტრში“, სადაც ეს მონაცემები აღირიცხება და იწერება. ამასთან მრიცხველს აქვს ელექტროენერგიის შეზღუდვის და ჩართვის ფუნქცია. ასევე აქვს ავარიების აღრიცხვის ფუნქცია, რაც ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან დაბალ ძაბვაზე ავარიების აღრიცხვა არაა მოწესრიგებული ისე, როგორც ჩვენ გვინდა იყოს, როცა მაღალი სტანდარტები გვაქვს დადგენილი. მრიცხველი იმითაა განსხვავებული, რომ მომხმარებელს შეუძლია დისტანციურად აკონტროლოს ელექტროენერგიის მოხმარება. ვმუშაობთ იმაზეც, რომ ყველა მომხმარებელს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემები ჰქონდეს და შეძლოს სახლიდან გაუსვლელად ონლაინ რეჟიმში ნახოს ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი“...

<u>გიორგი კაკაურიძე:</u> 2022 წლის ბიუჯეტში „კოვიდ-19“-ის მართვისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა შემცირდა!

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე განმარტავს, რატომ შემცირდა 2022 წლისთვის ჯანდაცვის ბიუჯეტში „კოვიდ-19“-ის მართვისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა.

მისი თქმით, გარკვეული გათვლების, თუნდაც არასაკმარისი, მაგრამ ვაქცინაციის 30-პროცენტიანი მაჩვენებლიდან გამომდინარე, არსებობს მოლოდინი, რომ 2022 წელს ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა 2021 წელთან შედარებით ნაკლები იქნება.

„ძალიან ძნელია დღეს, წინასწარ გააკეთო ზუსტი პროგნოზი, თუ რამდენი ინფიცირებული გვეყოლება მომავალ წელს. წელს ჯანდაცვის ბიუჯეტში „კოვიდ-19“-ის მართვისთვის 820 მლნ ლარამდეა ხარჯი, ხოლო მომდევნო წელს გათვალისწინებულია 500 მლნ ლარი. ეს შემცირება გამოიწვია გათვლებმა – გასულ წელს ყველაზე მწვავე პერიოდი გვქონდა ნოემბერ-დეკემბერში, ამიტომ ხარჯები 2021 წელს ავანაზღაურეთ. გადმოყოლილი ვალდებულებების გამო, მეტი თანხის დახარჯვა გახდა საჭირო. მეორე მხრივ, თუნდაც არასაკმარისი, მაგრამ ვაქცინაციის 30%-იანი მაჩვენებლის გათვალისწინებით, მოლოდინი გვაქვს, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა შემცირდება, ვიდრე იყო 2021 წელს“, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ. კაკაურიძის განმარტებით, ვაქცინების დიდი ნაწილი შესყიდულია.

თუმცა, მისივე თქმით, მომდევნო წელსაც 500 მლნ ლარში გათვალისწინებულია როგორც ვაქცინების შესყიდვა, ასევე დაახლოებით ეს თანხა საკმარისია წლის განმავლობაში 250-300 ათასი ინფიცირებულის სამკურნალოდ.

30 წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან. მიუხედავად ამისა ჩვენი ბედკრული სამშობლო კვლავ გაუსაძლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაშია.

ასეთი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე არაერთი რიტორიკული კითხვა ისმის. ვინ უშლის ხელს ქვეყნის განვითარებას ან რატომ ვართ ღარიბები ბუნებრივი პირობებით მდიდარი ქვეყნის შვილები?

კითხვები სხვაც ბევრია, პასუხები ხმირად საფუძვლიანი, ზოგჯერ უსაფუძვლო.

ველარც წყალი გვინახავს და... ველარც ჩაი!!!

პი, თვითონ ბორჯომია სამკურნალო... რატომ ვართ ღარიბები!

თუ რამ გამოიწვია 30-იანი წლიანი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, საყურადღებო განმარტებას იძლევა ახლახან გარდაცვლილი საინჟინრო და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **პაატა გიორგაძე**, რომელიც ხაზგასმით აცხადებს: – **„მსოფლიოში დღეს განვითარებული პროცესები ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებენ, რომ ლიბერალური დემოკრატია, რომელიც შეიძმნა ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმის მძონე ქვეყნების საწინააღმდეგოდ, როგორც ბრძოლის იარაღი, ღრმა კრიზისშია შესული და სახეზე გვაძვს ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მმართველობისა და წარმომადგენლობითი პოლიტიკური მოდელის კოლაფსი“**. ანუ ხალხის უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი წარმოშობს ლიბერალური დემოკრატიის კრიზისს.

მეცნიერ-მკვლევარები აცხადებენ, რომ ეკონომიურ განვითარებასა და დემოკრატიას შორის პირდაპირი კავშირია. რაც უფრო კარგად ცხოვრობს ხალხი, მით უფრო მაღალია დემოკრატიის სტაბილიზაცია. დემოკრატია ვერ იარსებებს სწრაფი ეკონომიური ზრდის გარეშე.

დღეს ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობისათვის ხელის შემშლელია გლობალიზაცია, ნეოლიბერალიზმი, მზარდი კორუფცია, პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური კლასის დაშორება ხალხის მიზნებიდან, ინვესტიციების შემცირება, ლარის კურსის ვარდნა. არსებობს სხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც. ასევე ქვეყნის შიგნით არსებული შიდაანშლილობა, ოპოზიციური პარტიების მხრიდან დაუსრულებელი აქციები და სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობები. ერთი სიტყვით, ქვეყანას არ ეღირსა სიმშვიდე. რადიკალური ოპოზიციის ლიდერები ნაკლებად ფიქრობენ და არ ზრუნავენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის, ხალხის პრობლემების გადაწყვეტისთვის. მათი მიზანია ხელისუფლების არა არჩევნების გზით შეცვლა, არამედ ძალით დამხობა, თბილი შემოსავლიანი ადგილების დაუფლება.

შედეგიც სახეზეა – თავისუფალი სიტყვის დამკვიდრებისთვის ყოველდღიურმა აძციებმა ქვეყანაში თავგასულობის, ხოლო დემოკრატიისათვის „ზრუნვამ“ – დემაგოგიის სინდრომი დაამკვიდრა.

ხალხის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების მიზნით დღემდე განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მოთხოვნებს. მნიშვნელოვნად დაქვეითდა ეროვნული თვითშეგნება, პატრიოტული მუხტი და სხვა ეროვნული ღირებულებები. ყოველივე ამან სერიოზული გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებაზე. სამწუხაროდ, სიღარიბის დონე საქართველოში ერთმნიშვნელოვნად გაზრდილია.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაძვირდა ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელი. „საქსტატის“ მონაცემებით სურსათზე ფასები 5,7%-ით გაიზარდა. საშუალოზე მეტად გაძვირდა ზეთი და ცხიმი (35,8%), ყავა და ჩაი (13,7%), შაქარი (13(%), რძის ნაწარმი (3,5%), პური და პურპროდუქტები (8%), მათ შორის თონის პური (20%).გაძვირდა ბოსტნეული, ხილი. ასევე გაიზარდა კომუნალური გადასახადები, ჯანდაცვა, მედიკამენტები, ნავთობპროდუქტები და სხვა.

ფასების თუნდაც მცირედით ზრდა მტკივნეულად აისახება სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, რომელთა შემოსავლის 50-70%-ზე მეტი კვების პროდუქტებზე იხარჯება. ჩვენი სიღარიბის მიზეზები ობიექტურიცაა და სუბიექტურიც. მსოფლიოში საქართველოზე მდიდარ ქვეყნებშიც არიან ღარიბები. ამერიკაში და ევროპაშიც იქექებიან ურნებში, მაგრამ ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ადამიანებს რომ არ უნდა შიოდეთ, ეს ფაქტია.

ხურების, კურორტვაჭრობის, რაიკოოპერატივის, ხილბოსტანვაჭრობის, სანატორიულ-საკურორტო ობიექტები და სხვები.

დღეს ბორჯომში ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ გაუყიდავს, ყველაფერს კერძო მესაკუთრე ჰყავს. სამწუხაროდ, მესაკუთრეები არ ზრუნავენ შეძენილი შენობა-ნაგებობების თუ ტერიტორიების ათვისებისათვის, ხალხის დასაქმებისთვის და მათთვის სასარგებლო და მომგებიანი პროდუქციის წარმოებისთვის. ეს ხომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას შეუწყობდა ხელს.

სამწუხაროდ, ბორჯომში არსებული ზემოთ აღწერილი პრობლემები, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დღემდე გადაუწყვეტელია. საკვირველია, ნუთუ ეს საკითხი არ ანაღვლებს ქვეყნის ხელისუფლებას, რატომაა უმოქმედო კერძო საკუთრება ხელშეუხებელი? როდემდე უნდა იყოს ქალაქის ცენტრში ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის“ ტერიტორია ნაგვის ბუდედ გადაქცეული, 30 წელია უმოქმედოდაა პლატოზე კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, რომელიც დღითიდღე პარტახდება (50-60 ადამიანი იყო დასაქმებული), 20 წელია უმოქმედოდაა ტურბაზა „პლატო“ (100 ადამიანი მუშაობდა), ლიკანში, რომანოვების სასახლეში, ჩიტი ვერ შეფრინდება ისეა დაცული, სამაგიეროდ გავერანებულია ამ სასახლის 7-ჰექტრიანი ერთ დროს „ედემის ბაღად“ წოდებული ტერიტორია, გახმა და მოსაჭრელია 500-მდე ფიჭვის ხე, მოგიონში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 80% ბორჯომის საწარმოებზე მოდიოდა. ყოველწლიურად სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში 100-120 ათასი ავადმყოფ-დამსვენებელი მკურნალობდა.

დანაკლისი მუშახელი ხაშურის, ახალციხის, ხარაგაულის და სხვა რაიონებიდან მოჰყავდათ.

დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 12-14 პროცენტია. ეს მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველაზე მაღალია. სიღარიბის დონეც აქედან მოდის.

მოხერხებულმა და ფულიანმა პიროვნებებმა, რომლებმაც ალღო აუღეს ახალ ცხოვრებას, რომ იტყვიან, „ჩალის ფასად“ შეიძინეს ნანგრევებად დარჩენილი, გაპარტახებული შენობები და მიტოვებული ფართობები.

ამ ობიექტების გაყიდვის პირველ ეტაპზე სახელმწიფო მყიდველს ავალდებულებდა, ორ-სამ წელიწადში აღედგინა წარმოება, დაესაქმებინა უმუშევრები და გამოეშვა მისთვის მოგების მიმცემი ნაწარმი.

გავიდა წლები, შეიცვალა არაერთი ხელისუფლება და ყველას დაავიწყდა სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება, – აემოქმედებინა საწარმო და გამოეცოცხლებინა ეკონომიკა.

ახლა თვალნათლივ ვხედავთ ხელისუფლების უსუსურობას, რომელიც „პირნათლად და მტკიცედ“ იცავს კანონს „საკუთრების შესახებ“. პასუხს არ სთხოვს ამ ადამიანებს, რომლებმაც სახელმწიფოსგან უძრავი ქონება იყიდეს და დღემდე არაფერი გაუკეთებიათ (უფრო მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლებამ ყოველგვარი პირობების გარეშე გაყიდა ობიექტები). უძრავი ქონების ამოქმედებისთვის ამ ადამიანებს არ აღმოაჩნდათ ბისზნესმენის და მეწარმის ნიჭი (შესაძლოა არც ფიქრობდნენ ბიზნესზე და საწარმოს ამოქმედებაზე). 30 წლის წინათ ნაყიდი შენობა-ნაგებობები, რომლებიც გაპარტახებას გადაურჩა, ახლა მთლიანად მიწასთან გასწორდა, ხოლო ამ ობიექტების მფლობელები ფულიანი ინვესტორების მოლოდინში არიან, ფიქრობენ, მოვლენ, იყიდიან და ამ გზით გამდიდრდებიან. ქვეყნისა და ხალხის ბედი კი არ ანაღვლებთ.

ჩამოვთვალოთ ის ობიექტები, რომლებიც ამ 30 წლის წინათ წარმატებით მუშაობდნენ და მათი არსებობა მხოლოდ ისტორიას შემორჩა.

ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში მუშაობდა 800-მდე ადამიანი, წელიწადში 12-15 მილიონი მანეთის ავეჯს აწარმოებდა. საწარმო მთლიანად გაპარტახდა, შენობა-ნაგებობები დაანგრიეს, 220 მეტრის სიგრძის 4-სართულიანი ძირითადი საამქროდან მოსწორებული მიწა-წყალი დარჩა. სამაგიეროდ, ახალდაბელი, ბორჯომელი და ხაშურელი მეავეჯეები უმუშევრები დარჩნენ და ახლა ზოგიერთები საკუთარ ეზოებში არსებულ კუსტარულ საამქროებში აწარმოებენ ავეჯს.

ახალდაბაში, ფაქტობრივად, გაპარტახებულია ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობები. თუ ინტერნატი გაუქმდა, შენობების გამოყენება ხომ შეიძლებოდა. მიკვირს, რატომ დაინგრა იქ არსებული შენობები, ნუთუ მათი გამოყენება არ შეიძლებოდა ისევ ახალდაბელთა საკეთილდღეოდ? ასევე გაპარტახებულია ახალდაბის ცენტრში არსებული პიონერთა ბანაკები, რომელთა პატრონები აღდგენაზე არც ფიქრობენ.

ამ დაწესებულებებში ხომ იყვნენ დასაქმებული ადამიანები, ახლა ისინი უმუშევრები არიან ან საზღვარგარეთ წავიდნენ ლუკმა-პურის საშოვნელად.

უმოქმედოდაა რველში არსებული ხორცკომბინატის შენობა-ნაგებობები (100-მდე ადამიანი იყო დასაქმებული), აქ გამოშვებული ძეხვი საუკეთესო იყო ჩვენს რესპუბლიკაში.

დაინგრა და გაპარტახდა ბორჯომის წისქვილკომბინატი, შუშის ქარხანა, ანდეზიტის წარმოება, პურკომბინატი, სატვირთო და სამგზავრო ავტოსაწარმოები, ადგილმრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კურორტვაჭრობის, რაიკოოპერატივის, ხილბოსტანვაჭრობის, სანატორიულ-საკურორტო ობიექტები და სხვები.



ბორჯომში ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ გაუყიდავს, ყველაფერს კერძო მესაკუთრე ჰყავს. სამწუხაროდ, მესაკუთრეები არ ზრუნავენ შეძენილი შენობა-ნაგებობების თუ ტერიტორიების ათვისებისათვის, ხალხის დასაქმებისთვის და მათთვის სასარგებლო და მომგებიანი პროდუქციის წარმოებისთვის. ეს ხომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას შეუწყობდა ხელს.

სამწუხაროდ, ბორჯომში არსებული ზემოთ აღწერილი პრობლემები, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, დღემდე გადაუწყვეტელია. საკვირველია, ნუთუ ეს საკითხი არ ანაღვლებს ქვეყნის ხელისუფლებას, რატომაა უმოქმედო კერძო საკუთრება ხელშეუხებელი? როდემდე უნდა იყოს ქალაქის ცენტრში ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის“ ტერიტორია ნაგვის ბუდედ გადაქცეული, 30 წელია უმოქმედოდაა პლატოზე კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, რომელიც დღითიდღე პარტახდება (50-60 ადამიანი იყო დასაქმებული), 20 წელია უმოქმედოდაა ტურბაზა „პლატო“ (100 ადამიანი მუშაობდა), ლიკანში, რომანოვების სასახლეში, ჩიტი ვერ შეფრინდება ისეა დაცული, სამაგიეროდ გავერანებულია ამ სასახლის 7-ჰექტრიანი ერთ დროს „ედემის ბაღად“ წოდებული ტერიტორია, გახმა და მოსაჭრელია 500-მდე ფიჭვის ხე, მოუვლელობით ვერც სასახლე გამოიყურება ისე, როგორც ადრეულ წლებში. იქვე ყოფილ სანატორიუმ „ლიკანის“ სამივე კორპუსი და სამკურნალო გაიყიდა, პირველი კორპუსის აღდგენაც დაიწყეს, მაგრამ მიატოვეს. ადრე ამ კორპუსის კედლები მაინც იდგა მყარად, ახლა ისიც აღარაა. ტერიტორია აქაც გაპარტახებულია.

საკითხავია, როდემდე იქნება გამოკეტილი 9-სართულიანი ადმინისტრაციული შენობა, რომლის სასტუმროდ ამოქმედებას და 100 ადამიანის დასაქმებას გვპირდებოდა ყოფილი ხელისუფლება.

ზოგადად რომ ვთქვათ, ბორჯომში ერთ დროს საკმაოდ მაღალ დონეზე მყოფი ბალნეოკურორტი და კურორტოლოგია აღარც არსებობს.

რაც ზემოთ გაყიდული ობიექტები ჩამოვთვალე, ისინი რომ ამოქმედებული იყოს და უმუშევრად დარჩენილი ხალხი – დასაქმებული, რომ იტყვიან, „ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა“, ღარიბ-ღატაკი რაიონში არ გვეყოლებოდა.

სიღარიბის და უმუშევრობის არსებული პრობლემის თაობაზე არაერთხელ ვესაუბრე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, პარლამენტის ბორჯომის ყოფილ მაჟორიტარ და დღეს მოქმედ დეპუტატებს. პრობლემით ყველა შეწუხებულია, მაგრამ გადაწყვეტის გზები დღემდე ვერ გამოუძებნიათ. კონსტიტუციას იშველიებენ და აცხადებენ, კერძო საკუთრება ხელშეუხებელიაო, ვეთანხმები, მაგრამ მეც მაქვს კითხვა, კონსტიტუციაში ისიც ხომ წერია, რომ ადამიანის შრომის უფლებები დაცული უნდა იყოს და ხელოვნურად არ უნდა იქმნებოდეს მათთვის პრობლემები.

რატომ არ შეიძლება კერძო მესაკუთრეებს, რომლებმაც სახელმწიფოსგან „კაპიკებში“ შეიძინეს საყოველთაო სახალხო ძონება, (რომელიც წესით ჩვენიც იყო), მოვთხოვოთ ათობით წლების მანძილზე დაკონსერვებული უძრავ-მოძრავი ძონება ან აამუშაონ, ან გაყიდონ, ან სახელმწიფოს დაუბრუნონ. ხომ მკაფიოდ ვხედავთ 30 წლის წინათ ნაყიდი ძონება უძრავ „სიმდიდრედ“ აძვთ შემონახული, როცა ქვეყანაში არც ეკონომიკა გვაძვს, არც ადამიანები არიან დასაძმებულები და სიღარიბეში ცხოვრობენ. კარგად მესმის, ნაყიდი ქონების ამოქმედება და დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმება ადვილი არაა, მაგრამ პრობლემა ხომ კომპლექსურად გადასაწყვეტი ფაქტია.

იხ. 6 გვ.

„აი, ზუსტად იქ დავხვდები, სადაც დააპირებენ მამაჩემის სახელით სპეკულირებას და ამ ფაქტებს პირადად შევახსენებ“, – აცხადებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, გიორგი გამსახურდია, რომლის განცხადებით მიხელ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, იგივე ჟორიკა და ნიკა რურუების მეოხებით სამეგრელოს დამრბევებს და ყაჩაღებს ყველას დაურიგეს სამხედრო წოდებები, ხოლო ზვიად გამსახურდიას მომხრეები, რომლებიც ქვეყანას იცავდნენ, წოდების გარეშე დატოვეს. მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრის პირადი ინიციატივით, ზვიად გამსახურდიას დროინდელ გვარდიელებს ყველას უბრუნდებათ სამხედრო წოდება.

მაზოლისტები

გიორგი გამსახურდია: როდესაც გახარია გადადგა, ერთმა ჩემმა ახლობელმა მითხრა: გიორგი, წამოსვლა მინდა ნაციონალებისგან, ესენი ავად არიან, ღამე ისხდნენ და დასაჭერების სიას წერდნენო!..



– „ზუსტად ვიცი რა შავი ფურცელია ჩვენ ისტორიაში ის, რომ ზვიად გამსახურდიას ვერ გავუფრთხილდით მთელი საქართველო. ასევე ზუსტად ვიცი, რომ ეს აღარასდროს განმეორდება“, – წერს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მუდმივად და მით უმეტეს, როდესაც საქმე სამეგრელოს ეხება, ცდილობს საკუთარი „მე“ საქართველოს პირველ პრეზიდენტთან გააიგივოს და პოლიტპატიმრის სტატუსით საუბრობს...

– თქვენ, როგორც მოქალაქე და ადამიანი ხომ მეთანხმებით, რომ ეს არის აბსოლუტურად ცა და დედამიწა. სააკაშვილისთვის პოლიტპატიმრობისა და გმირობის მიკერება არ გამოვა. როგორც უკვე ვთქვი,

პოლიტპატიმრებისა და დისიდენტების გარემოში გავიზარდე და ვიცი, პოლიტიკური პატიმარი რაც არის და ვიცი, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები რაც არის.

– რასაკვირველია გეთანხმებით, მაგრამ როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი ცდილობს საკუთარი თავი გააიგივოს ზვიად გამსახურდიასთან?

– მიშა სააკაშვილს იმდენი რამე აქვს ნაკადრები და თქვენ თუ ჩაუღრმავდებით 90-იანი წლების პუბლიკაციებს, თუ მის წინა პერიოდს – თვითონ მმართველობის პერიოდს, ყველაფერი აშკარაა. იგივე კონსტანტინე გამსახურდიას სახელის გადარქმევა, სანაპიროსთვის, სიტყვიერად, ზვიად გამსახურდიას სახელის დარქმევა, ეს მხოლოდ და მხოლოდ 2012 წლის მერე გახდა დეიურე. იგივე მერაბის და ზვიადის სახელთან ქიშპობა... სააკაშვილს თავისი პრეზიდენტობის მიწურულს გაახსენდა, რომ თურმე ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეროვნული გმირები ყოფილან. ამითი, ცოტა გონებაჩამორჩენილ ადამიანებს, ე.წ. ვითომ ზვიადის მომხრეებს კოჭი გაუგორა. სინამდვილე რომ გითხრათ, „ნაცმოძრაობის“ ბანაკში ჩემი მეგობრებიც არიან, არ დავიწყებ ამ ადამიანების კონკრეტიზაციას, ვთვლი, რომ ისინი არასწორ ადგილას არიან. არ არის ეს ხალხი დასაკარგი და დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიის ნათელ მხარეს დადგებიან. მიშას დროს, იგივე ჟორიკა და ნიკა რურუების მეოხებით სამეგრელოს დამრბევებს, ამწიოკებლებს და ყაჩაღებს ყველას გაუკეთეს ომში მონაწილეობის საბუთი, დაურიგეს სამხედრო წოდებები და ზვიად გამსახურდიას მომხრეები, რომლებიც ქვეყანას იცავდნენ, ისე დატოვეს. მაგრამ, ირაკლი ღარიბაშვილის, ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრის პირადი ინიციატივით, ზვიად გამსახურდიას დროინდელ გვარდიელებს ყველას უბრუნდებათ სამხედრო წოდება.

– ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, რატომ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი პარალელი გაავლოს პირველ პრეზიდენტთან, ამით რის დამტკიცებას ცდილობს და რაზეა ეს გათვლილი?

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში არის მოკლული თენგიზ გოგია – ზვიადის ერთგული მომხრე. ამას პირველად თქვენთან ვამბობ და ეს ბევრმა არ იცის – აკაკი ელიავას მკვლელები – მირიან გოჩაძე და შალვა ჯანაშვილი მიშას დროს დაწინაურდნენ. მირიან გოჩაძე სპეციალური ოპერაციების ცენტრის მეთაური გახდა, შემდეგ უკრაინაში ყაჩაღობაზე დააკავეს და იმედია ახლა სასჯელს იხდის. შალვა ჯანაშვილი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა აკაკი ელიავას ლიკვიდაციაში, შს მინისტრის მოადგილედ დაწინაურდა. მანდ უკვე ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან ლაპარაკს თავი უნდა დაანებოს. თუნდაც მარტო ამ ფაქტების გათვალისწინებით.

ცოტნეს პატიმრობა იყო აბსოლუტურად შურისძიების აქტი, რადგან ცოტნემ შეძლო ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენება. ჯერ ერთი, არჩადენილ დანაშაულზე ადამიანის გასამართლება და მეორე – თუ ანალოგიურ დანაშაულზე თავისიანებს საერთოდ გარეთ ტოვებდნენ და მართლმსაჯულებაზე საუბარი საერთოდ არ იყო, ცოტნეს მაქსიმალური მისცეს. მანდ უკვე დავამთავროთ საუბარი „ნაცმოძარაობის“ ზვიადის მომხრეობაზე.

– რაც შეეხება თქვენს საქართველოში ჩამოსვლას და მით უმეტეს ზუგდიდში ყოფნის ფაქტს, ხელისუფლების ოპონენტების მხრიდან ეს აღქმული იქნა ისე, რომ პირველი პრეზიდენტის შვილი ჩამოიყვანეს იმიტომ, რომ ზუგდიდი წააგეს...

– როგორ გეკადრებათ. მე არავის არ ჩამოვუყვანივარ. შარშან, ისევე როგორც წელს, სპეციალურად არ ვისარგებლე კუთვნილი შვებულებით. ჩემი კუთვნილი შვებულება პირწმინდად მოვახმარე იმ საქმეს, რასაც ქართული საქმე ჰქვია – „ნაცმოძარაობას“ მინიმალური შანსი ჰქონდეს რაიმე სახით სადმე მობრუნების. არავის არ ჩამოვუყვანივარ, აბსოლუტურად ჩემი ინიციატივით და ენთუზიაზმით ჩამოვედი. აი, ზუსტად იქ დავხვდები, სადაც დააპირებენ მამაჩემის სახელით სპეკულირებას და ამ ფაქტებს პირადად შევახსენებ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოსახლეობამ ჩვენზე კარგად იცის.

– როგორ ფიქრობთ, როგორ არჩევანს გაიკეთებს სამეგრელო და კერძოდ ზუგდიდი, რადგან მთავარი ყურადღება სწორედ ზუგდიდის მიმართულებით არის კონცენტრირებული, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

– დარწმუნებული ვარ, რომ მარცხს განიცდიან. რაც მარტო სამეგრელოში ჩაიდინეს... კასრების ვიდეო ნანახი არ გაქვთ?

– სამწუხაროდ, ნანახი მაქვს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამი...

– ჩემდა სამწუხაროდ, მე ვნახე და მერე უკვე ვეღარ გავძელი. რა ვიცი, ომების მეტი რა მინახავს, რაც დავიბადე სულ ომში ვიყავი, მიცვალებულებთან მძინებია, დასახიჩრებული გვამები მინახია, უამრავი ომის სისასტიკე მინახია, ჩემს თავზე გამომიცდია და მონაწილეც ვარ, მაგრამ მსგავსი რამ არ მინახია. ის, რაც ვნახე, ეს ჩემთვის იყო სულის შემზარავი. ამას რომ უყურებ, ე.ი. ფსიქიური პრობლემა გაქვს და ამას რომ ჩადიხარ... არ ვიცი, ამას რა დავარქვა.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია, პარტიის ლიდერი, პატიმარი მიხეილ სააკაშვილი ხაზგასმით საუბრობენ იმაზე, რომ 2 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა უარი უთხრა „ქართულ ოცნებას“ ანუ რუსეთს. ეს მაშინ, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან რამდენიმე დღეში რუსეთს მმართველობაში გადაეცა ენგურჰესი, მთელი სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ხელში აღმოჩნდა...

– აბსოლუტურად ყველაფერი, თუკი რამის დაკანონება შეიძლებოდა რუსებზე, „ნაცმოძრაობამ“ ყველაფერი დაუკანონა. მთელი ენერგოობიექტები, ეკონომიკური ობიექტები, ყველაფერი პირდაპირ მიჰყიდეს რუსეთს, ასე ვთქვათ გადასცეს! რა რუსეთზე ლაპარაკობენ, როდესაც „ნაცმოძრაობის“ მთელი პოლიტიკური ელიტა საქართველოს დსთ-ში შეთრევაზე ხელის მომწერები არიან, რასაც მოჰყვა საქართველოს პირველი ოკუპაცია, ამან გამოიწვია სამეგრელოში პრეზიდენტის მკვლელობა.

ამ წარსულის მძონე ადამიანები როგორ ლაპარაკობენ ანტირუსულობაზე, ან როგორ ახსენებენ ზვიად გამსახურდიას – ეს არის საკითხავი! რა ლოგიკით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ „ქართული ოცნება“ არის პრორუსული – „ქართული ოცნება“არც ერთ პროვოკაციაზე არ აყოლია რუსულ მხარეს, რომელიც გაასმაგებულად ხდება და თქვენ კიდევ ბევრი დეტალი არ იცით. აი, ამ ჯოჯოხეთში ინარჩუნებენ სტაბილურობას და სახელმწიფოებრიობას. ის ხელშესახები შედეგები, რაც საქართველოს ევროატლანტიკური მიმართულებით გვაქვს, ეს შედეგები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს დადგა. როგორ შეიძლება ეს პოლიტიკური ძალა ლაპარაკობდეს „ქართული ოცნების“ პრორუსულობაზე?!

– „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტპატიმარი, მიუხედავად პერფორმანსებისა – თითქოს სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმდა და ა.შ. ვერ მოიპოვეს ევროპული მხარდაჭერა, არც აშშ ამბობს, რომ სააკაშვილი არის უკანონო და მით უმეტეს პოლიტპატიმარი. ბატონო გიორგი, როგორ ხსნით იმას, რომ პატიმრობაში მყოფი მესამე პრეზიდენტი საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე დარჩა?

– ევროპელი პოლიტიკოსები, თუ არ ჩავთვლით „იპიპის ხაზს“, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ასოცირებულია „ნაცმოძრაობასთან“ (მემორანდუმზე აქვთ ხელი მოწერილი და თუ ვინმე რამე კრიტიკულს ამბობს, ეს არის „ევროპის სახალხო პარტია“, რადგან ეს მათი პარტიული ვალდებულებაა), არც ერთი განვითარებული ქვეყნის ხელისუფალი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენელი არ აღიქვამს ამ ძალას სერიოზულად. რევანშისტულ, მარგინალ და ძალმომრეობაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ კლასად აღიქვამენ. ამიტომ არ იგრძნობა ეს მხარდაჭერა.

გარკვეული სიმპათიები, რომელიც მიშას და მისი გუნდისადმი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს აკავშირებს, ეს პირადული ურთიერთობიდან გამომდინარეობს. ახსოვთ კარგი გამასპინძლება, კარგი ცხოვრებისეული პირობებით უზრუნველყოფა. თორემ არც ერთი ხელისუფალი და არც ერთი პოლიტიკური წონის ადამიანი ევროპაში, მათ მხარს არ უჭერს. ისინი მეგობრობენ საქართველოსთან და არ მეგობრობენ არც სააკაშვილთან და არც მის პოლიტიკურ პარტნიორებთან.

მათთვის მთავარი არის საქართველოს განვითარება. უყურებენ, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ეს მიღწევადია. მოგეხსენებათ, რომ ზუსტად ბაიდენის ადმინისტრაციამ უთხრა 2012 წელს უარი „ნაცმოძრაობას“. ერთ-ერთი მათი რეჟიმის მსხვრევის არქიტექტორთაგანი იყო აშშ-ის ადმინისტრაცია, რომელმაც უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს. ჩვენზე უკეთესად იცოდნენ და იციან, რომელ გუნდს რა ძალუძს და რა შედეგზე შეუძლია გაიყვანოს ქვეყანა.

– მიხეილ სააკაშვილს არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, ძალიან ბევრ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამისად, განაჩენი არ არის დამდგარი. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მოხდა მისი დაკავება, სწორედ ღარიბაშვილის პრემიერობას უკავშირდება ერთ-ერთი ყველზე მძიმე დამნაშავის, მეგის ქარდავას ექსტრადირება საქართველოში. აქედან გამომდინარე, დღეს ოპოზიციური სპექტრი და არა მარტო „ნაცმოძრაობა“, ითხოვს პრემიერის გადადგომას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. არსებობს პრემიერის გადადგომის აუცილებლობა?

– ირაკლი ღარიბაშვილი ჩემი მეგობარია და მე ვამაყობ ამით, მაგრამ ეს არ მალაპარაკებს. მე კონკრეტიკას მოვიყვან – ირაკლი არის ძლიერი ხელისუფალი, ძლიერი პოლიტიკური ალღოს მქონე ფიგურა, პროფესიონალი და ძალიან ბევრი რამე შემიძლია ამ ადამიანის გარშემო ვილაპარაკო. ძალიან ძლიერი ფიგურაა და თავისთავად ცხადია, რომ მათთვის ეს წინაღობაა. ირაკლი ღარიბაშვილის, ვახტანგ გომელაურის, გიორგი ლილუაშვილის - აი, ამ ადამიანების თანამდებობაზე ყოფნა მათთვის წინაღობაა. რატომ არ იღებდნენ ხმას, როდესაც გამოქლიავებული გიორგი კვირიკაშვილი იყო პრემიერ-მინისტრი?! იმიტომ, რომ აწყობდათ, ასეთი ტიპაჟი მათთვის მისაღები იყო.

ირაკლი არის ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის წარმატებების თითქმის 80% ბატონი ბიძინას პოლიკიდან წასვლის მერე, უკავშირდება ზუსტად ირაკლი ღარიბაშვილის პერიოდს. ძლიერი და კარგი მენეჯერია! ძლიერი და კარგი პოლიტიკოსია! შესაბამისად, მათთვის ამ სამი ადამიანის სადავეებთან ყოფნა წინაღობაა და თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის იქნებიან აგრესიის ობიექტები. აბა, დავნიშნოთ ქემოკლიძე, საბანაძე და ვიღაც ასეთი ფიგურები გახარიას რომ ჰყავს. კი ბატონო, ეგეთები აწყობთ. ძლიერი ხალხი ხელისუფლების სათავეში შენს ოპონენტს რანაირად უნდა მოეწონოს! ამიტომ, ყოველთვის იქნება ეს ჭორები, რომ მიდის, ხსნიან და ა.შ.

იხ. 8 გვ.

ᲐᲘ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲐ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ...

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲠᲗ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘ!

(ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

მკაფიოდ ვხედავთ, ეკონომიკის აღორძინება მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან, ამიტომაც მიიღო ქვეყნის ხელისუფლებამ განვითარების ათწლიანი პროგრამა, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობაში განათლების პრობლემის აღმოფხვრას. სიღარიბე განათლებულმა ადამიანებმა უნდა დაამარცხონ.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, წარმატებულია ის ქვეყანა, რომელსაც აქვს რომელიმე ჭარბი ბუნებრივი რესურსები ან ჰყავს მაღალინტელექტუალური საზოგადოება. საქართველო მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (ნავთობი, გაზი) არ გამოირჩევა და არც ინტელექტუალური საზოგადოების სიჭარბეა. განათლებულთა დიდი ნაწილი ემიგრაციაშია.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არაერთგვაროვანია. იყო დრო, როცა ბორჯომში წარმატებით მოქმედებდა სატყეო ტექნიკუმი, სამედიცინო და პროფსასწავლებლები. რომლებიც ქვეყანას და ბორჯომს საშუალო რგოლში დასასაქმებელ მაღალკვალიციურ სპეციალისტებს უმზადებდნენ. იმ წლებში ნამდვილად არ ჭირდა მეტყევის, მედდის, ზეინკლის, მლესავის, მღებავის, ხარატის, დურგლის, მეთუნუქის, მომპირკეთებლის თუ სხვა ხელოსნის პოვნა.

უმუშევრობის მტკივნეულმა პროცესმა სერიოზულად დააჩქარა ბორჯომის მუნიციპალიტეტში დასაქმებული კვალიფიციური კადრების გადინება.

ბორჯომში მოსახლეობას ოცნებად აქვს გადაქცეული ავტოპროფილაქტიკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამედროვე დონის ობიექტების (სტილისტების, პარიკმახერების, მკერავების და ა.შ.) სიმცირე და დაბალი კვალიფიკაცია, თუმცა გამონაკლისებიც არიან. კურორტის კვების ობიექტებში მწვავედ განიცდიან მაღალკვალიციფიური მზარეულების, მეტრდოტელების, მენეჯერების, მიმტანების, კონდიტერების და სხვათა სიმცირეს. რაიონში სერიოზულ პრობლემად რჩება კომპიუტერული ტექნიკის მართვა თუ შეკეთება, კომპიუტერის ოპერატორების, საბუღალტრო დარგის, ტურისტთა მომსახურებისათვის უცხო ენების მცოდნეთა და სხვათა კატასტროფულად დაბალი დონე.

უკეთესი მდგომარეობა არც ბაკურიანის საკურორტო ობიექტებშია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ და კერძოდ, ბორჯომში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1989 წლის საყოველთაო აღწერით ბორჯომის რაიონში ცხოვრობდა 39 ათასი ადამიანი. 2014 წლის აღწერით მოსახლეობა 14 ათასით შემცირდა. დღეს რაიონში 25 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო ქალაქ ბორჯომის მოსახლეობა 10 ათასამდე შემცირდა. რაიონის მოსახლეობის ყოველი მესამე ოჯახი გამოკეტილია და წასულია რაიონიდან.

ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲗᲘᲫᲕᲐᲛᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲬᲣᲮᲘᲚᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ „ᲗᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲝᲕᲘᲚᲘᲐ“, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ.

დავიწყოთ იმით, რომ დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში 1000-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახია აღრიცხული, ანუ ამ ოჯახების თითოეული წევრი სახელმწიფოსგან ყოველთვიურად იღებს შემწეობას 30-40-50-60 ლარამდე (გააჩნია ვის როგორი ქულები აქვს), ხოლო 16 წლამდე თითოეული მოზარდი 100 ლარს იღებს. როგორც წესი, სოციალურად დაუცველი ადამიანები ძირითადად არსად არ მუშაობენ (იმის შიშით, რომ სახელმწიფომ შემწეობა არ მოუხსნას).

ᲓᲐᲕᲐᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ „ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ“ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ

ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲡᲘᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲜᲝᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝ, ᲓᲐᲡᲐᲫᲛᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲘᲡᲘᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲐ ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ, ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ „ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ“ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲗᲣ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ 120 ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲘ ᲘᲙᲕᲔᲑᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 260-ᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ. ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘᲗᲐᲪ.

ᲡᲘᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲝᲕᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲐᲐ. ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲐᲨᲘ, ᲭᲝᲑᲘᲡᲮᲔᲕᲨᲘ, ᲬᲐᲦᲕᲔᲠᲨᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲑᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲝᲪᲘ-ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ.

როცა ამ ვრცელი წერილისათვის მასალებს ვაგროვებდი, ბევრ ჩემს მეგობრებს, ნაცნობებს და უცნობებსაც ვთხოვე აზრი გამოეთქვათ ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომში არსებული სიღარიბის მიზეზებზე. მათი შეხედულებები ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.

ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ განმიმარტა: ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელიც დღეში ერთ დოლარს ხარჯავს კვებაზე, სხვა მხრივ ადამიანი ღარიბად არ ჩაითვლებაო. **ᲛᲔᲝᲠᲔᲛ** დაუმატა, რომელ სიღარიბეზე მელაპარაკები, თბილისში მილიონზე მეტი საკუთარი მანქანაა, ხოლო რაც დღეს ბორჯომში მსუბუქი მანქანა დარბის, ამდენი არასდროს მინახავს, ერთი ლიტრი ბენზინი სამი ლარი ღირს, თუ ღარიბები არიან, საიდან აქვთ მანქანის და ბენზინის შეძენის ფული. მანქანა მაშინ არის მომგებიანი, როცა იგი მეწარმეს ან ბიზნესმენს ემსახურება, ჩვენთან მსუბუქი მანქანები დილიდან საღამომდე უქმად დგანან ან უმიზნოდ მოძრაობენო. **ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲛ** კიდევ უარესი მაგალითი გაიხსენა. ღარიბი კაცი ვერც მანქანას იყიდის და საკუთარ სახლს ევრორემონტს ვერ ჩაუტარებს. ამ ათი წლის წინათ ბორჯომში ერთი მაღაზია იყო, რომელიც სამშენებლო მასალებით ვაჭრობდა, ახლა დაბა-სოფლებში საოჯახო სასტუმროების მშენებლობის ბუმია. სამშენებლო მასალების შეძენაც და ხელოსნების დაქირავებაც ერთობ ძვირი სიამოვნებაა. **ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲛ** ღიმილით მითხრა: ბევრს წუწუნი კარგად აქვს დაცდილი, აგერ ქალაქის ცენტრში არსებული სტიქიური ბაზრის გარემოვაჭრეები ერთთავად გაჭირვებაზე და მუდამ ბანკის ვალებზე საუბრობენ და ყოველდღე სატვირთო მარშუტკით შემოტანილ ხილ-ბოსტნეულს ცეცხლის ფასად ყიდიან. ამ ქორვაჭრებიდან ბევრმა მანქანა შეიძინა, თბილისში სახლი, ბორჯომში საოჯახო სასტუმრო მოაწყოო.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲛ კატეგორიულად განმიცხადა: — მაჩვენეთ ერთი ოჯახი, სადაც ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა, და ვიტყვი, რომ საქართველოში სიღარიბეაო.

ᲛᲔᲔᲫᲕᲡᲔᲛ რესტორნები და კაფეები ყოველდღე სავსეა კლიენტებით, უფულო კაცი იქ ვერ შევაო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ მინდა ახალგაზრდა მწერლის ცირა შალაშვილის სიტყვებით დავამთავრო:

> — **„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲘᲚᲜᲐᲧᲠᲔᲑᲡ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲥᲕᲘᲠᲘ ᲒᲕᲘᲚᲘᲠᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐ“.**

დიახ, ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული მდგომარეობის ბუნებრივი პირობების და მშრომელი ადამიანების პატრონები ღარიბებად ნამდვილად არ უნდა ვიწოდებოდეთ. თუ ერთსულოვნები ვიქნებით და ერთი მიზნის მისაღწევად დავირაზმებით, კორონასაც დავამარცხებთ და სიღარიბესაც.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲓᲔᲕᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ?!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მონაცემებით, ელექტროენერგიის იმპორტმა 2020 წელს 1610,1 მლნ. კვ/სთ შეადგინა, 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით ეს მაჩვენებელი 1715.9 მლნ კვ/სთ-ზეა. რა მოცულობის ელენერგიის შეძენა მოგვიწევს აპრილამდე და რა იქნება მისი ფასი, ამ და სხვა თემებზე „კომერსანტთან“ ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ ისაუბრა. მისი თქმით, ზუსტი ციფრის დასახელება რთულია, მაგრამ ეს მაჩვენებელი დაახლოებით შარშანდელი მონაცემის — 1,7 მლრდ კვ/სთ-ის ტოლი იქნება.

რაც შეეხება ელექტროენერგიის ყიდვის ღირებულებას, **ᲒᲘᲐ ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ** ამბობს, რომ ეს დამოკიდებულია თუ დღის რა მონაკვეთში იქნება ენერგია შესყიდული. მისივე თქმით არის შემთხვევები, როცა ენერგიის შესყიდვა პიკის საათებში ხდება და საშუალოდ კილოვატ საათის ფასი 4,5 ცენტიდან 5 ცენტამდე იქნება.

„ჩვენი ძირითადი მომწოდებელი აზერბაიჯანია, თუმცა აფხაზეთთან მიმართებაში მას რუსეთი ჩაენაცვლა, რადგან აფხაზეთის ენერგიის დაახლოებით 80 - 90% იანვარ-მაისში რუსეთიდან შემოვიდა. თუ ბალანსი ისე იქნება დამყარებული, როგორც დღეს არის, (დღევანდელი ბალანსით დაახლოებით 60-65% ენერგიას ჩვენ ვყიდულობთ აზერბაიჯანიდან და დანარჩენი მცირე ნაწილი შემოდის თურქეთიდან და რუსეთიდან) არ ველი, რომ აზერბაიჯანი ჩვენ ელექტროენერგიის ფასს მოგვიმატებს, რადგან აზერბაიჯანი ამ ენერგიას ძირითადად ბუნებრივი გაზის მეშვეობით იღებს, თვითონ აზერბაიჯანში ბუნებრივი გაზის ფასი, ევროპისგან განსხვავებით, არ გაძვირებულა. შესაბამისად, აზერბაიჯანს ამ გაზის თვითღირებულება ძვირი არ დაუჯდება, რადგან საკუთარ გაზს წვავს.

ელექტროენერგიის ფასის ძალიან მკვეთრ ზრდას არც რუსეთიდან ველით, რადგან რუსეთიც ენერგიას ადგილობრივი რესურსებით გამოიმუშავებს, თუმცა რუსეთმა საომმხმარებლო გაზის ტარიფი ივნისსა და ივლისში საკმაოდ სერიოზულად გაზარდა“, — აღნიშნა გია არაბიძემ.

რაც შეეხება ალტერნატიულ ენერგიის წილს, არაბიძე ამბობს, რომ ამ მიმართულებით არსებული გეგმის შესრულება კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან მზის და ქარის ალტერნატიული ენერგიის ექსპლუატაციაში შესაყვანად სარეზერვო სიმძლავრეებია საჭირო.

„მზე და ქარი რომ ექსპლუატაციაში შეიყვანო, ამისათვის ერთი ვარიანტი არის ის, რომ უნდა გქონდეს სარეზერვო სიმძლავრე, რადგან როდესაც დაღამდება, ქარი ჩადგება ან ღრუბლიანი ამინდი იქნება, სისტემას ვერ გააჩერებ. მეორე ვარიანტი არის ის, რომ განახლებადი ენერგიის წყაროებით გამომუშავებული ენერგია ე.წ. აკუმულატორებში შეინახოს და ენერგიის არგამომუშავების პერიოდში იქიდან მოხდეს ქსელის კვება და ენერგიის მიწოდება. ენერგიის შემნახველები და აკუმულატორები საკმაოდ ძვირია და ტარიფს ზრდის. გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ამ ეტაპზე მისაღებია, იმიტომ რომ ჰიდროენერგეტიკა ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ ბევრი გვაქვს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ალტერნატიული ენერგია თამამად შემოვიყვანოთ, ოღონდ ვიქონიოთ სარეზერვო სიმძლავრეები.

სარეზერვო სიმძლავრეები რაც გვაქვს, ესენია ჟინვალი, ენგური და ა.შ. აქ იყო ძალიან სერიოზული გათვლა იმაზე, რომ სადღაც 2030 წლისათვის ექსპლუატაციაში შემოვიდოდა ნამახვანი, ნენსკრა, ხუდონი და ამ დროისათვის ჩვენ შეგვეძლო უკვე სადღაც 1100 - 1200 მეგავატი განახლებული ენერგეტიკის წყაროები შემოგვეყვანა ექსპლუატაციაში. ნამახვანზე და ხუდონზე რაც ხდება, ვიცით, სხვა სადგურებზეც განსაკუთრებული აღმშენებლობა არ მიმდინარეობს, ამიტომ ბუნებრივია ეს გეგმაც, რომ 2025 წლისათვის გვექნება 400 მეგავატი, გადასახედი იქნება, იმიტომ რომ ჩვენი სარეზერვო სიმძლავრეები რომლითაც დავგეგმეთ სადგურების მუშაობა, მათი მშენებლობის პროცესი გაჩერებულია“, — აღნიშნა გია არაბიძემ. 2020 წელს ელექტროენერგიის იმპორტმა 1610.1მლნ. კვ/სთ შეადგინა, აქედან რუსეთიდან მთელი წლის განმავლობაში 570,6მლნ კვ/სთ, თურქეთიდან 313,6 მლნ კვ.სთ ხოლო აზერბაიჯანიდან 726,3კვ/სთ ელექტროენერგია შემოვიდა.

ᲗᲐᲙᲝ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ

კაცობრიობამ ვაქცინის წყალობით, ფაქტობრივად, უკვე დაამარცხა პოლიომიელიტი, შემცირდა კიბოს გარკვეული სახეობების განვითარების ალბათობა და ამ ყველაფრის ფონზე, მილიონობით სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა.

როდის და ვინ გამოიგონა პირველი აცრა?

რა დაავადებები დაამარცხა კაცობრიობამ ვაქცინის მეშვეობით?

აცრის მოკლე ისტორია?

კაცობრიობა ყვავილს, სულ ცოტა, სამი ათასი წელია იცნობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ მე -20 საუკუნეში ამ დაავადებამ 300 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ითვლება, რომ ყვავილთან გამკლავების პირველი მცდელობა იყო ჩინეთში, ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, ვაქცინის ოფიციალურ გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე. სწორედ ამ ცდების ფარგლებში, იმდროინდელი სპეციალისტები შეგნებულად ცდილობდნენ ვირუსის მცირე დოზით ადამიანების ინფიცირებას, რათა პაციენტი დაავადებას უფრო ადვილად გამკლავებოდა. ამისათვის ისინი ყვავილის გამონაყარის ბუშტუკიდან ჩირქს იღებდნენ და ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში შეჰყავდათ. ზოგიერთ ქვეყანაში ამას ცხვირის ღრუს მეშვეობით აკეთებდნენ, სხვაგან კი – ნემსის დახმარებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანი სხვადასხვა ადგილას იჭრებოდა, შემდეგ კი ჩირქში ამოვლებულ ძაფს კანქვეშ ატარებდნენ.

ამ მეთოდს ვარიოლაცია ერქვა და ის მე-18 საუკუნის ევროპაში ძალიან პოპულარული გახდა. ვარიოლაციის გამოყენების შემთხვევაში, სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაახლოებით 2%-ს შეადგენდა. თუმცა ყვავილით ადამიანები ბევრად ხშირად იღუპებოდნენ, ამიტომაც ეს მეთოდი აქტუალობას მაინც არ კარგავდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში ვარიოლაცია აკრძალული იყო. ამ მეთოდს აქ შიშით უყურებდნენ, იმის მიუხედავად, რომ 1774 წელს მეფე ლუდოვიკო XV ყვავილით გარდაიცვალა.

ყვავილის თანამედროვე ვაქცინაციის ისტორიის ათვლა იწყება 1796 წლიდან, როდესაც ინგლისელმა ექიმმა ედვარდ ჯენერმა თავისი ცნობილი ექსპერიმენტი ჩაატარა. მან შეამჩნია, რომ ფერმერებს, რომელთაც ყვავილი ძროხებისგან გადაედოთ, შემდგომში ეს დაავადება აღარ ემართებოდათ. აღმოჩნდა, რომ ძროხებისთვის დამახასიათებელია ყვავილის შედარებით მსუბუქი ფორმა. ჯენერმა დაასკვნა, რომ ფერმერებს, რომლებმაც ყვავილის მსუბუქი ფორმა გადაიტანეს, ამ დაავადების მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავდათ და ამიტომ ის მათთვის საშიში აღარ იყო. 1796 წლის 14 მაისს, ჯენერმა ყვავილით ინფიცირებული ფერმერის ბუშტუკიდან ამოიღო ჩირქი, რომელიც რვა წლის ბიჭის, ჯეიმს ფიპსის მკლავზე არსებულ ნაკაწრს შეაზილა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მან სცადა, ყმაწვილი ყვავილით დაეინფიცირებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ასე რომ, ჯენერმა საშიში ექსპერიმენტის წყალობით, მოახერხა შეექმნა მსოფლიოში პირველი ვაქცინა, რომლის ეფექტიანობაც დადასტურდა.

ცოფი, ტუბერკულოზი და დასუსტებული ბაქტერიები

ყვავილის დამარცხებაში კაცობრიობას ძროხის ყვავილი დეხმარა, მაგრამ რა ხდება სხვა ინფექციებთან მიმართებით? ფრანგი ქიმიკოსი და მიკრობიოლოგი ლუი პასტერი იყო პირველი, ვინც ივარაუდა და დაამტკიცა კიდეც, რომ ვაქცინის გამოგონება მრავალი სხვა დაავადების წინააღმდეგაც არის შესაძლებელი. 1877 წელს მან შეისწავლა ქათმის ქოლერა და დაასკვნა, რომ ის შეიძლება შესუსტდეს (ან მისი გადამდებობა შემცირდეს) ჟანგბადის გამოყენებით. ჯილეხის (ციმბირული წყლული) კვლევისას პასტერმა გაარკვია, რომ ჟანგბადი მასზე არ მოქმედებს, მაგრამ მუშაობს სითბო. ამ ექსპერიმენტებმა მეცნიერს საშუალება მისცა 1881 და 1885 წლებში ჯილეხისა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები შეექმნა. ის თავის პრეპარატებს ცხოველებზე ცდიდა, რადგან ექიმი არ იყო. თუმცა 1885 წლის 6 ივლისს, პასტერმა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა გამოიყენა ცხრა წლის ბიჭის სამკურნალოდ, რომელსაც ცოფიანმა ძაღლმა უკბინა. ბავშვს 11 დღის განმავლობაში გაუკეთეს 14 აცრა, რამაც ის გადაარჩინა. ამ წარმატებამ განაპირობა პასტერის ცენტრების გახსნა ჯერ პარიზში, შემდეგ კი – მთელ მსოფლიოში.

ლუი პასტერმა ჯერ თეორიულად, შემდეგ კი პრაქტიკულად აჩვენა, რომ ვაქცინაციისთვის დასუსტებული მიკროორგანიზმების გამოყენება შესაძლებელი და ეფექტიანია. მე -20 საუკუნის დასაწყისში, ფრანგმა ექიმმა ალბერტ კალმეტმა და ვეტერინარმა კამილ გერინმა შეძლეს შეემუშავებინათ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ახლა ბცჟ-ს (Bacillus Calmette-Guerin- BCG) სახელით არის ცნობილი. მათაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბაქტერიების შტამი დაასუსტეს, აკვირდებოდნენ მას და ყოველ ჯერზე ყველაზე სუსტ ვერსიებს არჩევდნენ. ბცჟ-ს ვაქცინა პირველი გამოსცადეს 1921 წლის 18 ივლისს ახალშობილზე, რომლის დედაც ტუბერკულოზით გარდაიცვალა. სხვათა შორის, ტუბერკულოზი დღესაც კი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მომაკვდინებელ ინფექციად ითვლება. ვაქცინა ბაქტერიით ინფიცირებას სრულად ვერ ეწინააღმდეგება, მაგრამ მისმა გამოგონებამ სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეამცირა და ტუბერკულოზის მძიმე ფორმებისგან ბავშვების დაცვას ხელი შეუწყო. გარდა ამისა, მეცნიერებმა ბცჟ-ს გამოყენება სხვა სამედიცინო დაავადებებისთვისაც დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ ის შარდის ბუშტის კიბოს სამკურნალოდ, როგორც იმუნოთერაპიის ნაწილი, საკმაოდ ეფექტიანია.

ანტივაქსერული მოძრაობა და დაავადების აფეთქება

21-ე საუკუნისათვის მეცნიერებმა გამოიგონეს ვაქცინები, რომელთა მეშვეობითაც სიცოცხლისათვის საშიში 20-ზე მეტი დაავადების თავიდან აცილება გახდა შესაძლებელი. მათი უმეტესობა მსოფლიოს ქვეყნების ვავქცინაციის ეროვნულ კალენდარშია შეტანილი. ზოგიერთი ვაქცინა იცავს დაავადებებისგან, რომლებიც სწრაფად და მარტივად ვრცელდება (წითელა და ჩუტყვავილა) და ხელს უწყობს ეპიდემიის თავიდან აცილებას. სხვები კი იცავს ვირუსებისგან, რომლებიც კიბოს გარკვეული სახეობის რისკს ზრდის. მაგალითად, პაპილომავირუსის ვაქცინა საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისთვის გამოიყენება, B ჰეპატიტის ვაქცინა კი ღვიძლის კიბოს განვითარების შანსებს ამცირებს. სხვები, ცოფის ვაქცინის მსგავსად, ინფიცირების შემდეგ სიკვდილისგან იცავენ.

მხოლოდ ვაქცინის არსებობა, რა თქმა უნდა, დაავადების გავრცელებისგან ვერ დაგვიცავს. მაგალითად, სამოაში 2019 წლის ბოლოს წითელას ეპიდემია აფეთქდა. იქამდე კი, ქვეყანაში მშობლებმა თავიანთი შვილების წითელას საწინააღმდეგო აცრაზე უარი თქვეს, რადგან 2018 წლის ივლისში ორი ახალშობილი გარდაიცვალა. აღნიშნული ფაქტები მოხდა იმ ექთნების შეცდომის გამო, რომლებიც წითელას ვაქცინას აკეთებდნენ. ამ ფონზე და ანტივაქსერული კამპანიის „წყალობით“, საზოგადოება შიშის ტალღამ მოიცვა. შედეგად კი, 2019 წელს სამოაში ჩვილ ბავშვთა მხოლოდ მესამედი აცრეს, რამაც წითელას საშუალება მისცა, მოსახლეობაში სწრაფად გავრცელებულიყო. შესაბამისად, ქვეყანაში უამრავი ადამიანი დაავადდა და იყო ბავშვების გარდაცვალების შემთხვევებიც.

პაკისტანში პოლიომიელიტის სრულად აღმოფხვრას ხელს უშლის შეთქმულების თეორიები, რომელთა მიხედვითაც, ვაქცინა იწვევს უშვილობას, სხვა ქვეყნებს კი გამიზნულად სურთ მუსულმანთა შობადობის შემცირება. მსგავს ჭორებს ავრცელებენ სასულიერო პირებიც, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა აცრაზე უარს ამბობს, სამედიცინო პერსონალს კი, რომელიც ვაქცინაციის პროცესშია ჩართული, დევნიან.

ვაქცინის შესახებ შეთქმულების თეორიები ვრცელდება ყველა ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც. ზოგს სჯერა შეთქმულების თეორიის, რომ ფარმაცევტული კომპანიები ვაქცინებს ფინანსური დაინტერესების გამო ქმნიან. სხვები თვლიან, რომ აცრა საშიშია და ვაქცინაციას ისევ დაავადების გადატანა სჯობს. ვიღაცას არ სჯერა, რომ ვაქცინა მას ინფექციისგან ნამდვილად დაიცავს. რასაკვირველია, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ სამწუხაროდ, ანტივაქსერები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ. ისინი აშინებენ მშობლებს, ხშირად გამოგონილ ისტორიებს ჰყვებიან და სხვა ადამიანებს ვაქცინის ეფექტიანობაში აეჭვებენ.

ვისაც ვაქცინაციის გავლა არ სურს, ღამით, ძილის დროს უნდა ავცრათ..

„პრობლემა ის ხალხია, ვისაც ვაქცინაცია არ სურს. მოძებნეთ ასეთი ხალხი თქვენს სოფელში, მოდით, წავიდეთ და ძილის დროს ვაქცინა გავუკეთოთ. თუ მათ ვაქცინაცია არ სურთ, მოდით, შევიდეთ მათ სახლებში და ღამის დადგომისას ინექცია გავუკეთოთ. მე ამას გავაკეთებ“, – აღნიშნა ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუარტემ. 22 ივნისს, ფილიპინების პრეზიდენტმა, როდრიგო დუტერტემ განაცხადა, რომ იმ ადამიანებს, ვინც ვაქციანაციაზე უარს იტყვიან, პატიმრობა ემუქრებათ.

„არ გამიგოთ არასწორად, მაგრამ ქვეყანაში კრიზისული სიტუაციაა, საგანგებო მდგომარეობაა. თუ აცრა არ გსურთ, დაგაკავებთ და აგცრით. მავნებლები ხართ და სიტუაციას ამწვავებთ“, – აღნიშნა როდრიგო დუტერტემ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „არქის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს ‘არქი“ (ს/ნ 200120975), თბილისი, ვაკე-საბურთალო, ყიფშიძის შეს. №15, სართული 3

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ხელოვანთა ქ. №2, სართ. 6, ბინა №50 (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.123.01.01.050).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 69366.37 ლარი დღგ-ს ჩათვლით;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 14 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP74495721;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 744957

მოვალე: ბექა ნებუნიშვილი (პ/ნ 13001063982), გურჯაანი, ს. კალაური, მე-8 ქ. №28.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ‘ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP74495721; ლოტის ნომერი: 744957).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 28 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

მაზოხისტები

(მეოთხე გვერდიდან)

— როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ინფორმაცია, რომელიც ახლა ვრცელდება პრემიერის შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით?

— ანუ, ერთი მხრივ თავიანთ ამომრჩეველს უჩენენ იმედს, რომ აი, ხომ ხედავთ, ვერ რიგდებიან, რამდენიმე თვის მოსულია და მიდის. მეორე მხრივ ჩვენს ამომრჩეველს უჩენენ ნიჰილიზმს, რომ აი, თვითონ ერთმანეთში ვერ ლაგდებიან და აბა, მანდ რა გინდათ! ამაზეა გათვლილი და ეს ძალიან კარგად იციან ნიკა გვარამიამ და ნოდარიკო მელაძემ. ჭორების აგორებაში ბადალი არ ჰყავთ. ბევრი აპოლიტიკური ადამიანი ვიცი, რომლებიც ერიდებიან მაგათ ეთერებს. ვის სიამოვნებს 24 საათი სულ დაძაბული ყოფნა. ეს რაღაც მაზოხიზმია. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მეხოტბე ტელევიზია არც ჩემში იწვევს დიდ სიმპათიებს, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს ნეიტრალური ტელევიზია, იგივე „იმედის“ აქტივობაც, სხვადასხვა საინფორმაციო რესურსების აქტივობა, რომ სიმართლე დადო მაგიდაზე! მერე ადამიანი გაარჩევს რა სიმართლეა და რა — არა.

— ანუ, ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას ვერ ხედავთ?

— არა, რა ვადამდელი? 2024 წლამდე არანაირი არჩევნები არ იქნება. მაშინ ყოველთვის არჩევნები უნდა ჩაატარო, სანამ ესენი არ მოიგებენ. ვერ იგებს ეს ხალხი არჩევნებს, ის თავისი 27-დან 30%-მდე რასაც იღებენ მთლიანად, ყველანი ერთად აღებული, ისიც კლებაში მიდის. ძალიან ბევრი ნაციონალი მეგობარი მყავს და ზუსტად ვიცი, რომ ბევრმა ამ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა. ეს ისეთი ძალაა, რომ უკვე ნელ-ნელა ხალხი ეცლებათ. თან ადამიანებს რა დონეზე აქვთ ეს აგრესია განვითარებული...

ერთ ისტორიას მოგიყვებით — ერთ-ერთი ჩემი ახლობლისგან მაქვს ინფორმაცია, რომელიც მთავარი პერსონაა. როდესაც მელიათი შეშინებული გახარია გადადგა, მითხრა, რომ, გიორგი, წამოსვლა მინდა, მაგრამ სად წავიდე აღარ ვიციო. ვკითხე, რატომ ჩამოგიყალიბდა ეს აზრი-თქო და მითხრა, რომ ესენი ავად არიანო, ღამე იჯდნენ და დასაჭერების სიას წერდნენო. ანუ, ადამიანები ვერ მიხვდნენ 2012 წელს ხალხმა რატომ უთხრა მათ უარი. გახარია გადადგა, იფიქრეს, რომ ჩვენ მოვდივართო, წინასწარ დაჯდნენ და დასაჭერების სიას ადგენდნენ. ზუსტად ვიცი, რომ ასე იყო.

— დაბოლოს, როდესაც ხდება ზვიად გამსახურდიასთან პარალელების გავლება, ფოტომასალებიდან კარგად ჩანს, როგორი გამოვიდნენ საპატიმროდან ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მაგრამ მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილმა საპატიმროს კუთვნილ მაღაზიაში 8 დღის განმავლობაში შეიძინა 7 ქილა თაფლი, რომელსაც, რასაკვირველია, ღებულობს, ეს მაშინ, როდესაც სულხან მოლაშვილს არ აძლევდნენ უფლებას, ენახა 2 წლის შვილი. მაშინ გამოძიება ამბობდა, რომ ამ პატარა ბავშვმა შესაძლოა გამოძიებაზე მოახდინოს გავლენაო...

— კი, ასე იყო. სულხანი და თორნიკე ჩემი ახლობლები არიან... შემაძრწუნებელი იყო ეს ისტორია. ჩვენმა ამომრჩეველმა ცოტა უნდა იაქტიუროს იმიტომ, რომ რეალურად, ოპოზიციამ თავიანთი ამომრჩევლის მობილიზაცია შეძლო. მოვუწოდებ ჩვენს ამომრჩეველს, რომ „ნაცმოძრაობის“ მობრუნება არ დაუშვას, რადგან ამას ექნება თავისი კონკრეტული შედეგები და ეს კონკრეტულ შედეგები ჩვენი, ყველას პასუხისმგებლობა იქნება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

„აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ სისხლიანი დღე!..

პოლიტიკური კრიზისის ფონზე რამდენიმე აფხაზი მაღალჩინოსნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეე აღიძრა

ოკუპირებულ აფხაზეთში გრძელდება პოლიტიკური კრიზისი, რომელიც 30 სექტემბერს სოხუმის სანაპიროზე დე ფაქტო დეპუტატებსა და შს „სამინისტროს“ ჩინოსნებს შორის დაპირისპირებას მოჰყვა.

როგორც დღეს „გენერალურმა პროკურორმა“ ადგურ აგრბამ განაცხადა, შს „სამინისტროს“ რამდენიმე მაღალჩინოსნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა. საუბარია, კერძოდ, „მინისტრის“ მოადგილეზე — სპეცდანიშნულების რაზმის (СОБР) მეთაურ რაშა ცვიჟბასა და მის ორ მოადგილეზე, მათ შორის — СОБР-ის მეთაურის მოადგილე დადინ ჩაჩხალიაზე.

ხსენებულ პირებს გამოძიება „დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, ძალის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას“ ედავება, რაც აფხაზეთში მოქმედი კანონმდებლობით, თავისუფლების 5-დან 10 წლამდე აღკვეთით ისჯება.

ამავდროულად, „პროკურატურამ“ დანაშაულის ნიშნები განჭვრიტა კონფლიქტის მეორე მხარის — „დეპუტატ“ გარი კოკაიას ქმედებებშიც, რომელსაც ხულიგნობასა და „ხელისუფლების წარმომადგენლების შეურაცხყოფას“ ედავებიან. ამასთან, როგორც დე ფაქტო გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, არსებობს იმის მტკიცებულებებიც, რომ კოკაიას კოლეგამ — „დეპუტატმა“ ალმასხან არძინბამ შს „სამინისტროს“ შენობასთან ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნა.

რაც შეეხება ინციდენტის მონაწილე შს „მინისტრ“ დიმიტრი დბარს, რომელსაც მომხდარის გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება აქვს შეჩერებული, როგორც „გენერალურმა პროკურორმა“ აღნიშნა, დბარის ქმედებებში მისმა უწყებამ დანაშაულის ნიშნები ვერ დაინახა, „თუმცა ინციდენტის დროს მისი ადგილზე ყოფნისა და მასში მონაწილეობის ფაქტის გათვალისწინებით, გენერალური პროკურატურა აუცილებლად მიიჩნევს, პრეზიდენტს დბარის თანამდებობაზე დატოვებისა და მის მიმართ დისციპლინარული სასჯელის გამოყენების საკითხების განხილვის თხოვნით მიმართოს“.

● დე ფაქტო შსს-ს ინფორმაციით, 30 სექტემბერს — „გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის დღეს“, დე ფაქტო დეპუტატმა გარი კოკაიამ სოხუმის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ დღესასწაულის აღსანიშნავად კუთვნილი იარაღიდან ჰაერში გაისროლა, რითაც „საზოგადოებრივი წესრიგი უხეშად დაარღვია“. ამასთან, იგი არ დაემორჩილა სროლის ხმაზე ადგილზე მისული სამართალდამცველებისა და მათთან ერთად მყოფი დე ფაქტო შს მინისტრის — დიმიტრი დბარის მოთხოვნას, იარაღი ჩაებარებინა. გაჩაღდა კონფლიქტი, რომელშიც კოკაიას თანმხლები ომის ვეტერანებიც ჩაერთვნენ. შედეგად კოკაიამ და რამდენიმე ვეტერანმა სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები მიიღეს.

● მოგვიანებით, დე ფაქტო შსს-ს ცნობით, კიდევ ერთმა „დეპუტატმა“ — ალმასხან არძინბამ შს „სამინისტროს“ შენობა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილა.

● ამ მოვლენებიდან მეორე დღეს, 1 ოქტომბერს დე ფაქტო პარლამენტი საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა, რომელიც კოკაიასა და მისი თანმხლები ვეტერანების მშობლიურ სოფელ აძიუბჟას მცხოვრებთა საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართა. მისი მონაწილეები დე ფაქტო შს მინისტრის გადაყენებას მოითხოვდნენ.

● 3 ოქტომბერს „პრეზიდენტმა“ ბჟანიამ დიმიტრი დბარს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერა.

● 4 ოქტომბერს დე ფაქტო პარლამენტის შენობასთან მორიგი აქცია გაიმართა, რომელიც ვეტერანთა ოპოზიციური ორგანიზაცია „არუაას“ მიერ იყო მართული.

● თუმცა „პარლამენტმა“, 1 ოქტომბრის მსგავსად, ვერც 4-ში მიიღო რაიმე გადაწყვეტილება და ჩამოყალიბდა იმაზე, რომ დალოდებოდა გამოძიების დასრულებას.

ავღანეთის ცხელი დღეები

ვირტუალური სამიტი

დიდი ოცეულის ქვეყნების ლიდერებმა ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით ვირტუალური სამიტი გამართეს. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ავღანეთს ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილებაში დაეხმარებიან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აშშ-ის, ინდოეთისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერები. დიდი ოცეულის ვირტუალურ სამიტში არ მონაწილეობდნენ რუსეთისა და ჩინეთის პირველი პირები.

„ეს იყო მულტილატერალური პასუხი ავღანეთის კრიზისზე. მულტილატერალიზმი ბრუნდება. სირთულეებით, მაგრამ ბრუნდება“, — განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ „თალიბანს“ დახმარება პირდაპირი გზით არ უნდა მიეწოდოს და ქვეყანას დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით უნდა დაეხმარონ.

ევროკავშირი მილიარდი ევროთი დაეხმარება

ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის პრევენციის მიზნით, ევროკავშირი ავღანეთს მილიარდი ევროს დახმარების პაკეტს გამოუყოფს. ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ავღანეთში დიდი ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად და რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ მკაფიოდ განვსაზღვრეთ ჩვენი პირობები ავღანეთის ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის ჩართულობისთვის, მათ შორის ადამიანის უფლებების პატივისცემის საკითხზე, თუმცა ავღანელმა ხალხმა „თალიბანის“ ქმედებებისთვის ფასი არ უნდა გადაიხადოს“, — აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა „დიდი ოცეულის“ ლიდერების ვირტუალურ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას.

კანადა ლტოლვილებს ეწოდება

ავღანეთიდან ლტოლვილების ევაკუაციას კანადაში აშშ და სხვა ქვეყნები განახორციელებენ. კანადა მზადაა ავღანეთიდან 40 ათასი ლტოლვილი მიიღოს. ამის შესახებ კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო Twitter-ზე წერს.

„კანადა ავღანეთიდან 40 ათას ლტოლვილს მიიღებს. ჩვენ მოვუწოდებთ სხვა ქვეყნებსაც, რომ გააქტიურდნენ და არ დაიშურონ ძალისხმევა, რომ ავღანეთიდან ლტოლვილების განსახლებაში მონაწილეობა მიიღონ“, — წერს ტრიუდო Twitter-ზე.

მილიონამდე ბავშვს შიმშილით სიკვდილი ემუქრება

ავღანეთში არსებული კრიზისის გამო მილიონობით ბავშვი შიმშილობს, მოახლოებული ზამთარი კი მილიონამდე ბავშვისთვის მომაკვდინებელი იქნება. ამის შესახებ იუნისეფის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც 12 ოქტომბერს კიოლნში ავღანეთის საკითხზე „დიდი ოცეულის“ ქვეყნების შეკრებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

იუნისეფის ბოლო შეფასებებით, წლის ბოლოსთვის დაახლოებით 3,2 მლნ 5 წლამდე ასაკის ავღანელი ბავშვს ექნება მწვავე არასრულუფასოვანი კვების განცდა, მათ შორის კი მილიონამდე შესაძლოა, დაიღუპოს. ამასთან, ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ჯამში 10 მლნ-მდე ავღანელ ბავშვს სჭირდება ჰუმანიტარული დახმარება. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ავღანეთის სოფლებში, სადაც სამედიცინო დაწესებულებები არ მუშაობენ. მდგომარეობას ართულებს გვალვა, ძალადობა, კორონავირუსის პანდემია, წითელას აფეთქება და სხვა დაავადებები.

„ბავშვების მძიმე მდგომარეობა ზამთარში კიდევ უფრო გაღრმავდება, თუ ჯანდაცვის სისტემა სწრაფად არ დასტაბილურდება, საჭიროების მქონე ბავშვები კი სასწრაფოდ არ მიიღებენ მათთვის აუცილებელ დახმარებას“, — განაცხადა იუნისეფის გერმანიის ფილიალის ხელმძღვანელმა კრისტიან შნაიდერმა.



გურამ პეტრიაშვილი

ვარსკვლავსა მანათობელსა სულაც არ უყვარს ტაშიო...

გრილი დილა მეფერება,
ნიავითა მკოცნის ცხვირზე,
შეგრძნება მაქვს მთლად
ისეთი,
თითქოს ვზივარ ქრისტეს ვირზე.

და ყოველი შემხვედრისგან
ვაშა-ვაშას ველოდები,
ყველას ატკბობს
ჩემ ვირისთვის
შუბლზე კოცნის მცდელობები.

ამიტაცებს სიხარული
და ყროყინით ისევ ვყვირი,
აირია ყველაფერი
და თვითონ ვარ ქრისტეს
ვირი.

ჰარალალე

ვუძღვნი ჩემს ძმაკაცს
ირაკლი კაკაგაძეს

ფარღალალა ქოხის პატრონს
ჰარალალე ერქვა
და ცხოვრების საყვედური
არასოდეს ეთქვა.

მეფისთვის თუ მათხოვრისთვის
კოცნა ჰქონდა ძმური
არასოდეს არავისი არა
ჰქონდა შური.

ისე როგორც საკუთარი,
სწყინდა სხვისი წყენა
და უზომოდ უხაროდა
სხვისი აღმაფრენა.

დასცინოდნენ ნაცნობები,
რა გახარებს, გრიყვო,
ის კი მათ ყურს არ უგდებდა
ბედნიერი იყო!

მსგავსება

ყველა სულდგმული:
დიდიც, პატარაც
მუდამ და ყველგან
მეგობარს ეძებს,
და ეს ამსგავსებს ყველაზე
მეტად
ბოლოს და ბოლოს კაცებს
და მხეცებს.

* * *

ჩვენა ვართ კენგურუები,
გვიყვარს ჩხრიალა რუები,
ამ რუებს უნდა უმღერდნენ
მუსიკალური კუები,
და განს აძლევდნენ ხეებზე
ბელკანტოს მცოდნე ბუები.

ეშმაკების დევნა ბონდის ხიდზე

ირწეოდა ბონდის ხიდი
და მე ხიდზე მივდიოდი,
უკან ვდევდი ქაჯს და ეშმაკს,
ჰეი-მეთქი, მივკიოდი.

გამირბოდნენ ეშმაკები
და ქოქოლას მიტოვებდნენ,
თუმცა იყო გაზაფხული,
მე ცივ ზამთარს მითოვებდნენ.

გამირბოდნენ, გამირბოდნენ
და თანდათან ფეთდებოდნენ,
ბნელ უფსკრულში ჩასაკარგად
კიდევ უფრო ფერდდებოდნენ.

ბოლოს ისე მისავათდნენ,
ვეღარ წადგეს ერთიც ფეხი,
მიიღეს, რაც ეკუთვნოდათ,
დავუქუხე თავზე მეხი.

* * *

ნატვრა მქონდა ისე დიდი,
გოდორშიაც ვერა ვტევდი,
ახლა ნატვრებს აღარ დავდევ,
მიკვირს, წინათ რადა ვდევდი.

* * *

პაპუნა ჭამდა თუთასა,
კარგსა და არა ცუდასა,
ფიქრობდა, გულს რომ ვიჯერებ,
ზედ დავაყოლებ ლუდასა.

წარბებზე ჩამოვიფხატებ,
ჩემსა ლამაზსა ქუდასა,
ზურგზე მოვიგდებ ჩემსასა,
ამბებით სავსე გუდასა.

სტუმრად ვეწვევი კუწასა,
კოპწიას, კოხტაპრუწასა.

მცირე დარიგება პატარა ფეფელას

ბროწეულის ბაღს
აყვავებულს თუკი უყურებ,
არ გაგიკვირდეს, თუ ალისფერი
დაინახე ბაღში პეპელა:
მსგავსი ყოველთვის მსგავსს
იზიდავს, ჩემო ფეფელა.

ჩრჩილი

ო, მე იმდენ სახელოვანს
დაუჩრჩენი ჰალსტუხიო,
მიყვარს დიდებს უმნიშვნელომ
კარგი ნივთი დაურხიო.

ასე ამბობს მამა ჩრჩილი
და აელვებს წინა კბილებს,
მომბაძეთო, მოუწოდებს
შვილებსა და შვილიშვილებს.

* * *

ვარსკვლავთმძირველი ვან გოგი
ჩვენი ძმა არის ყველასი,
კაცის, მხეცის თუ ფრინველის
თევზის თუ ჭიანჭველასი.

ატირებს ყველა მტირალი,
ახარებს ყველა მცინარი,
ამხელა გულის პატრონი,
ამ ქვეყნად აბა ვინ არი.

ყოველ წელს ჯვარზე აკრავენ,
შუბს ატაკებენ ფერდშია,
ხმაურობს გული მგრგვინავი,
მის ყოვლის დამტევ მკერდშია.

რა ლამაზი ხარ, ვან გოგო,
ძმავ იესოსი ნათლისა,
მზიდველო სიყვარულისა,
სიკეთისა და მართლისა.

* * *

ტახს ბურღის მსგავსი
ასო ჰქონიყო,
ნეზვსა ბურღავდა
თავდავიწყებით,
დაჰღრუტუნებდა,
ჩემო ლამაზო,
ჩვენ არ ვთავდებით,
მუდამ ვიწყებით.

ველური ქალი

შეჰხედავდი და წარმოიდგენდი,
რომ თმაგაშლილი გდია გულაღმა
და ელოდება რომ ახლა მისით,
უნდა დაიცხროს ვნება
ულაყმა.

* * *

ბეჰემოთმა ვრცელ ხახაში
მოიქცია დიდი გრდემლი,
ახლა ხახას ვეღარ ხურავს
და თვალთაგან დასდის
ცრემლი.

* * *

ჩხერიმელავ, მოირხევი,
მობანცალობ მთვრალივითა,
ხალისითაც მოაგორებ
ზვირთებს ცელქი ქალივითა.

* * *

შავი ხარ შავო კამეჩო,
შავები დაგდევს ფიქრები,
შავად დაგათოვს ბუნება,
შავადაც დაიფიფქები.

* * *

ბეჰემოთმა ლამაზ ჟირაფს
რომ შეუქო გრაციაო,
ჟირაფს ამით დაემართა
ნაზი გაწა-მაწიაო.

ვარსკვლავი

ვარსკვლავსა მანათობელსა,
სხვისი არა აქვს შურიო,
სხვისი სინათლის კაშკაშით,
არ არის უბედურიო.

მხოლოდ ერთი აქვს წუხილი,
ფიქრი მძიმე და ძნელიო,
არ დამრჩეს გაუნათებლად,
მე ჩემი წილი ბნელიო.

მხოლოდ ერთს დარდობს,
ვაითუ, უდროოდ, უცებ ჩავქრეო
და ვერ დავტოვო, ვინც უნდა
განაგრძოს ჩემი საქმეო.

ერთმა პაწია ვარსკვლავმა,
ჩემს ნაცვლად იციმციმოსო
და მისი შუქიც ნეტავი
ჩემებრ კაშკაშა იყოსო.

ვარსკვლავსა მანათობელსა,
სულაც არ უყვარს ტაშიო,
ჩუმად არის და ანათ ებს,
შუქით გვეძახის ცაშიო.

ზურაბ მამულაშვილი

ვისაც ნოდარ დუმბაძის დროინდელი „ნიანგი“ ახსოვს, უთუოდ ეხსომება სატირიკოსი ზურაბ მამულაშვილის მწვავედ კალმის ხშირი მოქნევა. ახლა ზურაბმა უკვე 80 წელი მოღუნა, მაგრამ სატირული თუ იუმორისტული ხასიათი არ დასცხრომია. ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსები სწორედ ამას მოწმობს.

როცა სიტყვა იჭინჭრება

დრო აღარ არის ფიქრის

დამონებული გული, დამძიმებული სული,
ჩამოწოლილა მწუხრი სხეგნიდან გადმოსული.
საშიში მეგობრობა, საშიში დოლარ-ფული,
აღარც ბულბული გალობს და აღარც მოლაღური.

აღზევებული სოროს, აღზევებული ბანკი,
ქართველი კაცი ბოლოს გამოდებული კვანტით,
შენა გგონია სძულხარ? — პირიქით, შეუყვარდი,
ქრთამად რომ მოგცა საწყალს ესე ბინძური გრანტი.

რა დაგემართა კაცო, ასე რომ გადაგვარდი,
შენივე ხელით მოჭერ შენი დარგული ვარდი,
სათაყვანებელ მიწას ყოველთვის მშვიდად ხნავდი,
იმდენ მოსავალს მკიდი, სხასაც კი მოახმარდი.

რა ისტორია გქონდა, რა სახელი და გვარი,
სულ აგირიეს ფულით ცხოვრების გზა და კვალი,
ერთ დროს საქვეყნოდ მრჩენი გლეხის მარჯვენა მკლავი,
აღარც მიწაა შენი, აღარც ღვინო და წყალი.

რომ არაფერი გრჩება და სულ ქუჩაში რჩები,
ნუთუ, ქართველო, ამდენს, მართლა, ვეღარა ხვდები.
გახსოვს, დრო იყო ერთხანს, პოეტს ხვდებოდნენ რიდით
და ადარდებდნენ ღმერთკაცს თავის უზადო ნიჭით.

დღეს კი რა შეგრჩა ხელში, ადრე სულ სხვა რამ მახსოვს,
ხომ ხედავ, შენი ლექსი ისე აღარა ფასობს.
გამომცემლობა არ გაქვს, აღარც კავშირი მწერლის
და აქეთ-იქით დაგაქვს ლექსები ახალ-ძველი.

თავჩაღუნული დგახარ, როგორც დასჯილი ბავშვი,
თავი ასწიე მაღლა, გამოიხედე თვალში.
დრო აღარ არის ფიქრის, მტერი მომრავლდა ისე,
ვიდრემდე აქ კენჭს იყრის, უნდა ავლაგმოთ მყისვე.

რა გემღერება ნეტავ, რა გეცეკვება კაცო,
ჩვენი დაღუპვის გეგმა სოროსმა უკვე გვამცნო.
ახლა ჩვენზეა ჯერი, უფლის წყალობის მჯერა —
მრავალტანჯული ერი ჯერ კიდევ გადარჩება.

თუ უარს ვეტყვით შეფებს, თუ უარს ვეტყვით სოროსს,
და მჯერა ამის შემდეგ თავებს დურთავენ სოროს...

სკამკაცა

სკამზე ზის და
სკამზე წვება,
სკამზე ჭამს და
სკამზე მღერის,
სკამზე წერს და
სკამზე ხატავს,
სკამით არის
ბედნიერი...

ქართველო

რამ შეგაძულა, ქართველო,
საქართველო და ქართველი?..
ნუთუ მარტოდენ ფულია
დღეს შენთვის სუყველაფერი?
სამშობლო თუ არ გექნება,
რატომ არ ფიქრობ რა გელის?
ძმისა და ერის გამყიდველს
ან ტურა შეგჭამს, ან მგელი.

◎ მუნდიალ – 2022

გვალვის შემდეგ

რამდენჯერ გვსმენია, კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო. სამწუხაროდ, ნაცებისა და „ოცნებისა“ არ იყოს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებსაც 9 წლის განმავლობაში ისე ამათრახებდნენ, რომ ზურგი აუჭრელეს, რამაც მსოფლიოს ჩემპიონატების 23 შესარჩევი მატჩი შეადგინა.

როგორც ყველაფერს, აღნიშნულ სავალალო ტრადიციასაც დაესვა წერტილი, რასაც კოსოვოელთა მეკარესა და ჩვენი გუნდის შემადგენლობაში განხორციელებულ როგორც იძულებით (კანკავას დისკვალიფიკაცია და ჩაკვეტაძის ტრავმა), ისე ტაქტიკურ ცვლილებებს უნდა ვუმადლოდეთ (ვილი სანიოლმა ძირითადში დააბრუნა გვილია, ოქრიაშვილი, რომელმაც ანგარიში გახსნა, წიტაიშვილი, კვეკვესკირი და სანქციამოხდილი კაშია).

არანაკლებ დასაფასებელია „ჯვაროსანთა“ ფრანგი თავკაცის მიერ რეზერვისტების გამოცნობა – სწორედ აზაროვ-დავითაშვილის კომბინაციას მოჰყვა გამარჯვების გოლი – 2:1.

მოკლედ, თურმე თამაში შეგვძლებია!

შვედეთი - საბერძნეთი 2:0.

12 ნოემბერს ევროპული საკვალიფიკაციო ეტაპის ფინიშზე სწორედ შვედებს ვუმასპინძლებთ და, ვიმედოვნებთ, **„ბ“ ჯგუფში** უკანასკნელ ადგილსაც დავაღწევთ თავს.

* * *

ამასობაში დიდ წარმატებას მიაღწია **ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, რომელმაც ნორვეგიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში პირველი ადგილი დაიკავა 7 ქულით: საქართველო – უელსი 0:0, საქართველო – კოსოვო 1:0, საქართველო – ნორვეგია 1:0 (ორივე გოლი საბურთალოელმა **გიზი მამაგეიშვილმა** გაიტანა).

◎ სურვილი

ყოველ ორ წელიწადში

ფიფას პრეზიდენტმა **ჯანი ინფანტინომ** აზრი გამოთქვა. მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველ ორ წელიწადში ჩატარების შესახებ.

„უკვე გადაწყვეტილია, რომ 2026 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 48 გუნდი ითამაშებს. რაც შეეხება ჩემპიონატის ორ ან ოთხ წელიწადში მოწყობას, ეს საკითხი ჯერ განიხილება.

მჯერა, რომ საჭიროა მეტი პრესტიჟული ტურნირის ჩატარება – იქნება ეს მსოფლიოს ჩემპიონატი თუ რაიმე სხვა ფორუმი. ეს ჯადოსნური ტურნირია და სწორედ ამიტომ, შესაძლოა, რომ ის უფრო ხშირად გაიმართოს.



საფეხბურთო ტურნირის პრესტიჟულობა მის ხარისხზეა დამოკიდებული და არა ჩატარების სიხშირეზე. სუპერბოული ყოველ წელს იმართება, ასევე უიმბლდონი ან ჩემპიონთა ლიგა და ყოველთვის ყველა მათ მოუთმენლად ელოდება“, – განაცხადა ინფანტინომ.

◎ ვერსია

თამაშგარე - ავტომატურად

ლონდონის „არსენალის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** მიაჩნია, რომ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატისთვის უნდა დაჩქარდეს თამაშგარესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ამ მიზნით უნდა აამოქმედონ ოფსაიდის ავტომატურად გამოვლენის ტექნოლოგია.

„უნდა გავაგრძელოთ პროგრესი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების მხრივ. განსაკუთრებით ეს ეხება ოფსაიდის წესს. 2022 წელს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესაძლებელია ძალიან სწრაფი გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ნაკლებად შეაყოვნებს თამაშს, ვიდრე ეს VAR-ის სისტემის შემთხვევაში ხდება.



მაღალია იმის ალბათობა, რომ ოფსაიდის გამოვლენა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატზე ავტომატიზებული იქნება. ვალდებული ვარ, ეს ინფორმაცია საიდუმლოდ შევინახო, მაგრამ ეს იქნება მორიგი დიდი მიღწევა მსაჯობაში“, – ამბობს ვენგერი.

დღეს 71 წლის ვენგერი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიფა) გლობალური განვითარების განყოფილებას ხელმძღვანელობს.

◎ ლეგიონერი

მეზენიტელები დაადუმა

ფეერიული – ასე შეიძლება შეფასდეს თორნიკე შენგელიას მიერ ევროლიგის მესამე ტურში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ მოსკოვში დადგმული სპექტაკლი, რომელიც ცსკამ აქამდე დაუმარცხებლად მოთამაშე თანამემამულეებთან 77:67 მოიგო.

არმიელთა ქართველმა ლიდერმა პარტნიორებს 35 წუთში 33(!) ქულა, 8 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა შეაწია, მატჩის ყველაზე სასარგებლო კალათბურთელად სავსებით დამსახურებულად დასახელდა (ზედიზედ მეორედ) და, დიდი ალბათობით, ტურის MVP-ც გახდება, რადგან მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 37-ს გაუტოლდა.

მასპინძელთა ქართველმა ვარსკვლავმა მეტოქის კალათში 16-დან 10 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 11-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, რამაც ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში პირადი რეკორდი დაამყარებინა – აქამდე 29 წლის „ჯვაროსნის“ მიღწევა 23 ქულა გახლდათ. ცსკა სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიციაზეა და ხვალ შინ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მიიღებს.

◎ რინგზე

ყველაზე სახიფათოა

ცნობილმა მებრძოლმა კამარუ უსმანმა UFC-ის მძიმეწონოსანი ჩემპიონის **ფრენსის ნგანუს** შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ის პლანეტის ყველაზე ძლიერი და სახიფათო ადამიანია, რომელსაც ვერავინ მოერევა:

„დღეს ხშირად გავიგებთ სხვადასხვა სპორტსმენის შესახებ, რომ ის პლანეტის ყველაზე სახიფათო და ყველაზე ძლიერი ადამიანია, თუმცა, დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ერთადერთი ადამიანია – ფრენსის ნგანუ, რადგან მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. ვინმე იტყვის, რომ არიან მძიმეწონოსანი ჩემპიონები სხვა სახეობაშიც, ვთქვათ ენტონი ჯოშუა და ა.შ, მაგრამ თუ მოკრივეს წააქცევ, ის ველარასოდეს ადგება. ფრენსისს კი ნებისმიერი მძიმეწონოსანი მოკრივის წაქცევა შეუძლია“.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 27 მარტს ნგანუმ მიოჩიჩი ნოკაუტით დაამარცხა და მძიმე წონაში UFC-ის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

◎ კორტზე

სტაბილურიც, საიმედოც...

ნიკოლოზ ბასილაშვილი ინდიან უელსის მასტერსის (საპრიზო ფონდი 900 000 დოლარი) მერვედფინალშია, სადაც რუს კარენ ხაჩანოვს შეხვდება. აქამდე მათ შორის გამართულ 5 ბრძოლაში ჩვენს თანამემამულეს მინიმალური უპირატესობა აქვს – 3 მოგება და 2 წაგება.

მესამე წრეში ნიკამ მსოფლიოს 48-ე ესპანელი ჩოგანი ალბერტ რამოს ვინოლასი სამ პარტიაში 4:6, 7:6, 6:2 დაამარცხა.

◎ ნდობა

ევროპაში გვაფასებენ

ფიბა-ევროპამ მორიგი საკლუბო თასების სეზონი დაიწყო და ქართველ მსაჯებსაც საერთაშორისო ასპარეზზე გზა გაეხსნათ!

კირილე თვაურმა გუშინ რუმინეთში „ორადეასა“ და პოლონური „ლეგიას“ შეხვედრა განსაჯა, ხოლო ერთ კვირაში საბერძნეთში „იონიკოსისა“ და ბელგიური „ანტვერპენის“ მატჩს მოემსახურება.

მიხეილ ვართანოვი დღეს თურქეთში ქალთა ფიბა-ევროპის თასის თამაშს გაუძღვება რომელშიც „ჰათაისფორი“ რუსეთის „ენისეის“ დაუპირისპირდება. რაც შეეხება **მერაბ რატიშვილს,** მიმდინარე სეზონში ქართველი კომისრისთვის ეს მეორე გასვლაა. პირველად იგი სექტემბრის ბოლო რიცხვებში კრასნოიარსკში, ფიბა-ევროპის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო ტურნირს მოემსახურა, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობდა, 16 ოქტომბერს კი რატიშვილი ვი-თი-ბი ლიგის მატჩზე იმუშავებს, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში „ასტანასა“ და პოლონურ „ზელიონა გორას“ შორის გაიმართება.

იტალიის საავიაციო ფორუმზე საქართველო აეროპორტების გაერთიანებამ წარადგინა

10-12 ოქტომბერს ჩრდილოეთ იტალიაში, მილანში ყოველწლიური ავიაფორუმი WORLD ROUTES 2021 გაიმართა. რიგით 26-ე ყოველწლიურ საავიაციო ფორუმში მსოფლიოს 300 ზე მეტი აეროპორტის, ავიაკომპანიის, საავიაციო სფეროსა და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საქართველო ფორუმზე აეროპორტების გაერთიანებამ წარადგინა. დელეგაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი თამარ არჩუაძე ხელმძღვანელობდა. მისი განცხადებით, მსგავსი ფორუმები საშუალებას გვაძლევს გლობალურ საავიაციო ბაზარზე, განხორციელდეს საქართველოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა.

კულტურის სამინისტრო ახალგაზრდა ხელოვანებს აფინანსებს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსის "ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა განათლების ხელშეწყობა" გამარჯვებული 12 სტუდენტი გამოავლინა.

კულტურის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამინისტრო ახალგაზრდებს უტოვებს თავისუფლებას, თავად გაამჟღავნონ ან არ გაამჟღავნონ თავიანთი პირადი მონაცემები, რომლებიც, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებზე გაიცემა კანონით დადგენილი წესით.

დღეს გამოცხადებული შედეგების მიხედვით, დაფინანსებულია შემდეგი პროექტები:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის ხელშეწყობა;
2. ვენის მუსიკისა და ხელოვნების უნივერსიტეტში (აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე) საგუნდო-საორკესტრო დირიჟორობის სწავლის ხელშეწყობა;
3. ვენის მუსიკისა და ხელოვნების უნივერსიტეტში (აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე) საგუნდო-საორკესტრო დირიჟორობის სწავლის ხელშეწყობა;
4. მიუნსტერის WWU უნივესტიტეტში (კონსერვატორიაში) საფორტეპიანო სპეციალობაზე სწავლის ხელშეწყობა;
5. მონსერატ კაბალიეს სახელობის XVI საერთაშორისო სიმღერის (ვოკალისტთა) კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობა;
6. მილანის დიზაინის პოლიტექნიკურ სკოლაში საავტომობილო დიზაინის მიმართულებით სწავლის ხელშეწყობა;
7. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის IV კურსზე სწავლის ხელშეწყობა;
8. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე საფორტეპიანო სპეციალობით სწავლის ხელშეწყობა;
9. „ხმოვანი ხელოვნების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო კურსის" დამამთავრებელ კურსზე სწავლის ხელშეწყობა;
10. მიუნხენის მუსიკისა და დრამის უმაღლეს სკოლაში სადირიჟორო ოსტატობის აკადემიურ პროგრამაზე სწავლის ხელშეწყობა;
11. მანჩესტერის სამუსიკო სკოლაში სწავლის ხელშეწყობა;
12. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საოპერო საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით მაგისტრატურაზე სწავლის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს ცალკე უწყებად ჩამოყალიბების შემდეგ, მოცემული კონკურსი უკვე მეორედ გამოცხადდა. პირველად „ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა განათლების ხელშეწყობის" კონკურსი მიმდინარე წლის 14 ივლისს გამოცხადდა და მის ფარგლებში 10 ახალგაზრდის სწავლა დაფინანსდა (5 — საქართველოში, ხოლო 5 — უცხოეთში) 100 000 ლარით. თუმცა ვინაიდან, ახალგაზრდებისთვის სახელოვნებო განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა არის კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, ხოლო 14 ივლისს გამოცხადებულ კონკურსზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო (შემოვიდა 42 განაცხადი), სამინისტრომ მიიღო კონკურსის მეორედ გამოცხადების გადაწყვეტილება. ამჯერად კონკურსის ჯამური ბიუჯეტი შეადგენდა 85 000 ლარს და მის ფარგლებში სამინისტროს სულ 39-მა განმცხადებელმა მომართა.

სულთათანა

გარდაიცვალა უკეთილშობილესი ქალბატონი, კოლორიტული პიროვნება, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, 50-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ქალდეას", საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირის „დიოსკურია 2005" საპატიო პრეზიდენტი, მშვიდობის ვარსკვლავისა და დროშის კავალერი, აბაშის საპატიო მოქალაქე, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და ავტორი

ნანული (ნანა) გუნია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ვაჟებს ედუარდს (იოანე) და გიორგის, ოჯახის წევრებსა და მთელ სანათესაოს ღვაწლმოსილი ქალბატონის გარდაცვალების გამო.

ლამარა უჩანეიშვილი

94 წლის ასაკში გარდაიცვალა პურპროდუქტების დარგის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, საალრიცხვო სექტორის თანამშრომელი ლამარა უჩანეიშვილი, რომელიც წლების მანძილზე ამავე სისტემაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა, ხოლო 1975 წლიდან, გაერთიანების შექმნის დღიდან დაინიშნა გაერთიანების მთავარი ბუღალტრის მოადგილედ. იგი დაიბადა ფოთში და მთელი სიცოხლე მშობლიური ქალაქის ერთგულ ადამიანად თვლიდა თავს. ქალბატონმა აღზარდა ორი ქალიშვილი — პროფესიით ქიმიკოსები. უფროსი ქალიშვილის მანანა უჩანეიშვილის გარდაცვალებამ აუნაზღაურებელი დარტყმა მიაყენა ქალბატონ ლამარას და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა მთელი ცხოვრება.

ყოფილი თანამშრომლები, მეგობრები და ახლობლები ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესაოს.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი

უსულგულო თაღლითი გამოიჭირეს!..

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით, 2000 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.ბ. დააკავეს. დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში უნებართვოდ შეაღწია 3 მოქალაქის Facebook-ის გვერდებზე. ა.ბ. დაუკავშირდა მათ Facebook-ის მეგობრებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა, მოტყუებით გამოართვა ბანკის პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს" პაროლები, რის საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათსავე საბანკო ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

ბრალდებულმა, ასევე, 2021 წლის ოქტომბერში უნებართვოდ შეაღწია თბილისში, თაბორის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის Facebook-ის გვერდზე და ამ ადამიანის სახელით დაუკავშირდა მის მრევლს. ა.ბ.-მ მრევლს, თითქოს უცხოეთიდან თანხის ჩასარიცხად, მოტყუებით გამოართვა საბანკო პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს" პაროლები, რისი საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათ კუთვნილ ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ა.ბ. Facebook-ის გამოყენებით მოტყუებული მოქალაქეებისგან მითვისებულ თანხებს ირიცხავდა ჯერ ონლაინ კაზინოსა და ტოტალიზატორის ანგარიშზე, ხოლო შემდგომ საკუთარ საბანკო ანგარიშებზე. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მის პირად კომპიუტერში, სხვადასხვა საქმეზე გამოვლენილი დაზარალებულების Facebook-ის გვერდებზე და საბანკო ანგარიშებზე შეღწევის ფაქტები აღმოაჩინა.

გამოძიების მონაცემებით, ა. ბ.-ის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად ამ ეტაპისთვის 10 დაზარალებული მოქალაქეა, ხოლო ფინანსური ზარალი 100 ათას ლარს შეადგენს. ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და შესაძლოა დაზარალებულთა რიცხვი 30-მდე გაიზარდოს, ხოლო მიყენებული ზარალის ოდენობამ გადააჭარბოს 300 000 ლარს.

სპეცოპერაცია დუშეთში

სამართალდამცველებმა დუშეთში ერთი პირი, დაჩი სიანაიძე დაკავეს, რომელიც, გამოძიების ცნობით, ყალბ ვიზებს ამზადებდა. არსებული ინფორმაციით, ის აიყვანეს თავისივე სახლიდან, სადაც ოფისი ჰქონდა განთავსებული. საგამოძიებო უწყების თანამშრომლებმა, ჩხრეკის შედეგად, ამოიღეს დოკუმენტაცია, რომელსაც შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში შეისწავლიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მისი სავარაუდო დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ის, ძირითადად, საქართველოს მოქალაქეებს, ეხმარებოდა, უკანონოდ შეეღწიათ ამერიკის შეერთებულ შტატებში. უმეტეს შემთხვევაში, ეს მექსიკის გავლით ხდებოდა...

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

„მეოთხე ბრაიტონი“ – ოსკარზე!!!

ამერიკის კინოაკადემიის 2022 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის, საქართველოს სახელით, ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ იბრძოლებს, – ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.

წელს, „ოსკარზე“ საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად, კიდევ 2 ქართული ფილმი იბრძოდა: **„რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“**(რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე) და **„პერსონა №2“** (რეჟისორი ნინო ბასილია). წარდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატი ფილმი სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრით გამოავლინა.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: მერაბ ნინიძე, ნანა ჯორჯაძე, ნანა ექვთიმიშვილი, დეა კულუმბეგაშვილი, კონსტანტინე ჩლაიძე, გიორგი ოვაშვილი, რატი ონელი, ლევან კიტია, ვლადიმერ კაჭარავა, ალექსანდრე გაბელია, გიგიშა აბაშიძე, ია სუხიტაშვილი, ირაკლი სოლომონაშვილი, მარიამ ჭაჭია და თამთა გაბრიჩიძე.

„მეოთხე ბრაიტონი“ გვიყვება ამაღელვებელ ისტორიას ქართველი მოჭიდავის – კახის შესახებ, რომელიც ბრუკლინში ჩადის, რათა შვილს აზარტული თამაშების ვალის გადახდაში დაეხმაროს.

ფილმში კახის როლს ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი – ლევან თედიაშვილი ასრულებს. ერთ-ერთ მთავარ როლშია ასევე ლეგენდარული ქართველი მსახიობი კახი კავსაძე. ფილმის დამდგმელი ოპერატორია ფედონ პაპამიქაელი, რომელიც ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“, როგორც საუკეთესო კინოოპერატორი.

რატომ დაიშალა „ბიტლზები“?

ლეგენდარული ჯგუფის The Beatles-ის წევრმა პოლ მაკარტნიმ ჯგუფის დაშლის ინიციატორი დაასახელა. როგორც პოლ მაკარტნიმ BBC Radio-სთან ინტერვიუში განაცხადა, ჯგუფის წევრებს შორის მომხდარი ერთ-ერთი კამათის შემდეგ ჯონ ლენონმა გადაწყვიტა, რომ ერთად მუშაობა უკვე შეუძლებელი იქნებოდა.

მუსიკოსის თქმით, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, თითქოს ჯგუფის დაშლის ინიციატორი თავად მაკარტნი იყო, თუმცა ეს სიცრუეა.

„ჯგუფის დაშლა მე არ დამიწყია. ეს ჯონი იყო. ერთხელ ის შემოვიდა ოთახში და თქვა, რომ ჯგუფიდან მიდის. ჯონი და იოკო ახალ ცხოვრებას იწყებდნენ, და ამას ვერ შეეწინააღმდეგებოდი. მე მინდოდა, რომ ჯგუფს მოღვაწეობა გაეგრძელებინა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი იყო“, – აცხადებს მაკარტნი.

ილონ მასკი ლუდის წარმოებას აპირებს

Tesla-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ილონ მასკმა გერმანიაში, განაცხადა, რომ ლუდის წარმოებას იწყებს. ლუდის სახელწოდებაა GigaBier, ბოთლის დიზაინში კი Cybertruck-ის ინტერფეისის მონახაზს გამოიყენებენ.

Tesla-მ აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნის ოფისში (USPTO) განაცხადი სექტემბერში შეიტანა, რათა Cyberquad სასაქონლო ნიშანი თამაშების, სათამაშოების, სპორტული საქონლისა და ტანსაცმლის კატეგორიების სხვადასხვა პროდუქტებისთვის დაარეგისტრიროს.

მტაცებელი ალიგატორი



აშშ-ში ალიგატორმა 7 წლის ბიჭს დაჭერილი თევზი წაართვა. შემთხვევა ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ-ქოსტში მოხდა.

7 წლის დოუსონი მამასთან, შონ მაკმაჰონთან ერთად თევზაობდა. ბიჭმა თევზი დაიჭირა და როდესაც მისი ნაპირზე ამოყვანა დაიწყო, წყლიდან ალიგატორი ამოხტა და დოუსონს დაჭერილი თევზი წაართვა.

◎ დღესასწაულები

მცხეთობა – სვეტიცხოვლობა



14 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და ქართველი ხალხი დღესასწაულობს საუფლოისა და კვართისა, აგრეთვე ღვთაებრივ ბრწყინვალე დღეს, იგივე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას. საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი მართლმადიდებლური სიწმინდე სვეტიცხოველია!

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად სვეტიცხოვლის ტაძარი ხის ყოფილა... მშენებლობისას თურმე ერთი ბოლო სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, მაგრამ წმინდა ქალწულ მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ, სანამ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მღვდელნი ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სიხარულით ისტუმრა იოანე ეპისკოპოსი, ხოლო წმიდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და მის ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი... მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელიღო დედოფალმა, მეფემ, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა.

მოწამეთობა

15 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს არგვეთის მთავართა, წმიდათა დიდ მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღეს. ...საქართველოში გამოლაშქრებულ მურვან ყრუს არგვეთელი დავით და კონსტანტინე მხეიძეები შეებრძოლნენ. უთანასწორო ბრძოლაში ძმები ტყვედ ჩაიგდეს და რჯულის შეცვლა შესთავაზეს, მაგრამ მათ უშიშრად აღიარეს წმიდა სამება.

...დიდმოწამეთა – დავით და კონსტანტინე მხეიძეების გვამები დაკრძალეს წყალწითელას ნაპირზე მდებარე ეკლესიაში. მოწამეთა მონასტერი, მეცნიერთა აზრით, მეფე ბაგრატ IV მიერ უნდა იყოს აგებული.

გიული ლიპარტია

დედოფალი... ხელჯოხით

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი, ელისაბედ II საზოგადოების წინაშე ხელჯოხით პირველად გამოჩნდა.

95 წლის მონარქი პრინცესა ანასთან ერთად, დაესწრო საზეიმო წირვას ვესტმინსტერის სააბატოში, ბრიტანული სამეფო ლეგიონის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მძინარე მიგრანტებს მატარებელმა გადაუარა

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, ესპანეთის საზღვართან ახლოს, სენ-ჟან-დე-ლიუზის სადგურიდან დაახლოებით 500 მეტრში, მატარებელმა მიგრანტებს გადაუარა.

არსებული ინფორმაციით, ალჟირელი მიგრანტები ლიანდაგზე იწვნენ და ეძინათ. შემთხვევის შედეგად, დაიღუპა სამი მიგრანტი, ერთი კი, ფეხის მოტეხილობით, საავადმყოფოში გადაიყვანეს. შემთხვევა დილით, დაახლოებით 06:00 საათზე მოხდა, რის შედეგადაც, სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა და რამდენიმე საათის შემდეგ აღდგა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 ოქტომბერს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1329; ევრო - 3.6204;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2661;
100 რუბლი - 4.3611; თურქული ლირა - 0.3541;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8409;
1000 სომხური დრამი - 6.5413.

ამინდი 14 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge